რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 11 იანვარი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 7 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 7

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა“-ზე

ხელის მოწერის პირობები:

ერთი თვით — 4 მან. 50 კაპ.
ორი თვით — 9 მანეთი.
სამი თვით — 13 მან. 50 კაპ.
ექვსი თვით — 27 მანეთი
ერთი წლით — 50 მანეთი
ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.

ამხანაგებს და თანამგრძნობთ ცხოვრ ხელის მოწერა ნუ დააყოვნებენ.

ოლღა სპირიდონის ასული მაჭავარიანისა, სოლომონ და დავით ილიას ძე მაჭავარიანები, ნინა, ელენე, თამარი და ქეთევან მაჭავარიანის ასულნი, ნიკო დავითის ძე მამულაიშვილი, ანნა მაჭავარიანის ასული ანანიაშვილისა და ნიკო ზაქარიას ძე მაჭავარიანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და განსვენებულის ამხანაგებს, რომ ქალაქ შერიფხანეში პირველ იანვარს ტრაღიკულათ გარდაიცვალა პირველის საყვარელი შვილი, მეორების და მესამენის ძმა, მეოთხენის ცოლის ძმა და მეხუთეს და მეექვსეს ძმის-წული

ზაქარია ილიას ძე მაჭავარიანი,

რომელიც ჩამოსვენებულ იქმნა ქ. თფილისში საკუთარ ბინაზე (მოსკოვის ქუჩა, № 7) 7 იანვარს. დასაფლავებულ იქნება ხუთშაბათს 11 იანვარს კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ ბინიდგან დილის 11 საათზე.

ღრმად დამწუხრებულნი: ძმა ალექსანდრე, დები ეკატერინე, ეფემია და დარია, ძმისწულები ლიდა, ოლღა, თამარა და ლადო სოლოღაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასის

ნიკოლოზ გრიგოლის ძე სოლოღაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება მიცვალებულისა კვირას, დილის 10 საათზე ოქონის ეკლესიაში ქ. გორში. (1—1)

გულდათუთქული შვილები: ნინო მიხაილოვისა, გიორგი და ვახტანგ სოლოღაშვილები, რძალი ანნა სოლოღაშვილისა, სიძე ალექსანდრე მიხაილოვი და ცოლის-და ნინო ივანოვისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უძვირფასესი

ნიკოლოზ გრიგოლის ძე სოლოღაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება მიცვალებულისა კვირას, 14 იანვარს, დილის 10 საათზე ოქონის ეკლესიაში ქ. გორში.

ხუთშაბათს, 11 იანვარს საღამოს 4 საათზე, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია პირველი რაიონის საერთო

პარტიული კრება

კითხვები: 1) ანგარიში რაიონის მოქმედებისა, 2) რეორგანიზაცია და რაიონის და თფილისის კომიტეტის წევრების არჩევნები.

ვთხოვთ ამხანაგებს იქონიონ საწევრო ბარათები.

თეატრი „ავლაბარ-პალას“-ი

კონსტანტინეს ქუჩა № 11. ხუთშაბათს, 11 იანვარს, ქართულ ოპერეტის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ ქართულ ენაზედ ცნობილი ოპერეტა

„აშუღ-ღარიბი“

ოპერ. 5 მოქმედებათ. 8 სურათ. გადმოთარგ. მარიისა. ქალთა ბალეტი. ბალეტში მონაწილეობს სახაზინო თეატრის მოცეკვავე ალბერტი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილ. 10 ს.—2 ს. საღამ. 5 საათ.—10 საათამდე. (1—1)

ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიისათვის საჭიროა ცოცხალი

ვირთხები და თაგვები

თვითეულ ვირთხაში მომტანს მიეცემა 20 კაპ. თვითეულ თაგვში კი 10 კ.

მისამართი: ფეოდოსიევის ქ. 3—ტუპიკი, ამიერ კავკასიის მინდვრის თაგვების წინააღმდეგ მებრძოლი სადგური. მიღება შეიძლება დილის 8 საათიდან დღის პირველ საათამდე. (3—2)

1918 წ. იანვრის 10 თფილისში გამოვა ჟურნალი

„ახალი კვალი“

ორგანო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა.

თფილისის ორგანიზაციის კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს დანარჩენ ორგანიზაციებს საჩქაროდ შეგვატყობინონ: 1) რამდენი ცალის გავრცელება შეუძლიანთ: 2) თავისი, ან ორგანიზაციის აგენტის მისამართი; ეს ცნობები საჩქაროთ უნდა იქნეს მოწოდებული, რათა ჟურნალის გამოცემის საქმე არ შეფერხდეს. აგრეთვე გთხოვთ დაგვეხმაროთ მატერიალურათ და მოგვაწოდოთ მასალები.

ჩვენი მისამართი ჯერ-ჯერობით შემდეგია: Тифлисъ. Вера. Матеріальная ул. № 3. Михаилу Чачуа.

## დამფუძნებელი კრება და ანარქია

რუსეთის დემოკრატიამ ვერ გამოიჩინა საკმაო ძალა და შემოქმედებითი ნიჭი, მან დაანგრია ძველი რეჟიმი, მაგრამ ახალი ცხოვრების დამყარება ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო.

ამიტომ იყო, რომ პეტროგრადის და მოსკოვის პროლეტარიატმა ზურგი შეაქცია ნაცად მარქსისტულ ტაქტიკას, არსებულ მდგომარეობისთვის ანგარიშის გაწევაზე ხელი აიღო და თვალებ ახვეული აყვა ბალშევიკების უკიდურეს მოთხოვნილებებს. სატახტო ქალაქების პროლეტარიატს მხარი დაუჭირა ომისა და ანარქიისაგან მოქანცულმა ჯარმა და სამოქალაქო ომი გაჩაღდა.

მთელი შეგნებული დემოკრატიის ყურადღება დამფუძნებელ კრებისკენ იყო მიმართული, მხოლოდ, მისგან გამოელოდენ არსებულ არევ-დარევის მოსპობას და ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას. ეს რწმენა დამფუძნებელ კრებისადმი იმდენათ ძლიერი იყო, რომ თვით ოქტომბრის გმირები, ბალშევიკები დამფუძნებელ კრების სახელით ამართლებდენ თავის უდროვო გამოსვლას, ქვეყანას არწმუნებდენ ჩვენი მიზანია დამფუძნებელ კრების დროზე მოწვევა, რასაც დროებითი მთავრობა ეწინააღმდეგებაო.

დღეს სინამდვილემ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. რის ვაი-ვაგლახით შეკრებილ დამფუძნებელ კრებაზე ბალშევიკურმა მთავრობამ ვერაგული თავდასხმა მოახდინა, მას წაუყენა მოთხოვნა, რომლის მიღება დამფუძნებელი კრების იდეის დამარხვა იქნებოდა და რაკი ამ გზით მიზანს ვერ მიაღწია, ურჩი დაწესებულება უხეში ძალით გარეკა.

დემოკრატიას არ აღმოაჩნდა საკმაო რეალური ძალა დამფუძნებელ კრების დასაცავათ. სხვა პირობებში არ იქნებოდა ძნელი უხეშ თავდამსხმელების ალაგმვა, ყოველ შემთხვევაში ხალხი, რომელიც რამდენიმე თაობის განმავლობაში აწარმოებდა გმირულ ბრძოლას ძველი წყობილების წინააღმდეგ, უსისხლოთ არავის შეარჩენდა მისი ღვიძლი შვილის, დამფუძნებელ კრების გარეკას.

საქმე ის არის, რომ ხალხს მისი უტყუარი დემოკრატიული ალღო ნებას არ აძლევს ძმის წინააღმდეგ იარაღით გაილაშქროს და მოძრაობის დამღუპველი არევ-დარევა მოსპოს. სწორეთ აქ არის სათავე დემოკრატიის ორჭოფობის და გაუბედავი პოლიტიკისა.

მეორე მხრით ყალბ გზაზე შემდგარი პროლეტარიატი გამოფხიზლების იმედებს არ იძლევა. ეტყობა, მას ძალიან ცოტა იმედი აქვს არა პროლეტარული დემოკრატიის. რევოლიუციის პირველ რვა თვის განმავლობაში მან საკუთარი თვალით იხილა და გამოსცადა დემოკრატიულ პოლიტიკის უძლურება. მოკლებულმა პოლიტიკურ აღზრდას და რევოლიუციონურ გამოცდილებას, მან ვერ გამოიჩინა მდგომარეობის დაფასების უნარი და ომის მიერ გამოწვეული ცხოვრების არევ-დარევა დროებით მთავრობის ბოროტ განზრახვებს გადააბრალა. მარტივ შეხედულებიდან დასკვნაც მარტივი გამოიყვანა და ბავშვური გატაცებით და დაუფიქრებლობით გადასწყვიტა შეებრძოლოს არა მარტო რუსეთის ბურჟუაზიას, არამედ მთელი ქვეყნის შეძლებულ კლასებს.

საქმეს რომ სიმპატია-ანტიპატია სწყვეტდეს, მთელი ჩვენი თანაგრძნობა პეტროგრადის პროლეტარიატის მხარეზე იქნებოდა. მაგრამ მნიშვნელობა აქვს არა ჩვენს სურვილებს, არამედ ობიექტიურ პირობებს. ამ პირობების შეგნება არ სურთ პეტროგრადის მოძრაობის ხელმძღვანელებს და არც მოსალოდნელია, რომ მალე შეიგნონ მათ ეს.

ამ რიგათ რუსეთი ხანგრძლივ ანარქიის ხანაში გადადის. ასეთი მდგომარეობა მოისპობა ან ბურჟუაზიის დარაზმვით და პროლეტარიატის და მთელი მოძრაობის დამხობით, ან პროლეტარიატის სწორ გზაზე შედგომით და დემოკრატიულ ფრონტის გამაგრებით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს პროლეტარიატი გამოფხიზლდება, უკუაგდებს დღევანდელ პირობებში სოციალისტურ უტოპიების შესაძლებლობას და ანარქისტულ ბრძოლის მეთოდებს გამოეთხოვება.

მაგრამ ომის მიერ გამოწვეული ცხოვრების არევ-დარევა იმდენათ ძლიერია, იმდენი გარეშე მტრები ჰყავს პროლეტარიატს მეზობელ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების სახით, რომ საკუთარ ძალ-ღონით კრიზისის დაბოლოვება მისთვის ერთობ ძნელია. ამიტომ არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა ინტერნაციონალის გაძლიერება, როგორც დღეს. რუსეთის მოძრაობამ ჭეშმარიტათ საერთაშორისო ხასიათი მიიღო.

ამიტომ ჩვენი ვალია პროლეტარიატის დაკავშირება სხვა ქვეყნების პროლეტარიატთან მორიგ საკითხათ დავსვათ და ამ გზით შევეცადოთ დარღვეულ დემოკრატიულ ფრონტის გამთელებას და გამაგრებას.

კერძოთ ჩვენ, კავკასიელები, კიდევ უფრო ძნელ პირობებში ვიმყოფებით. ჩვენ ფაქტიურათ მოწყვეტილი ვართ ჩვენს ჩრდილოეთის ძმებს: ჩვენსა და მათ შორის გარდაუვალ კედლის სახით აღმართულია კულტურულათ ჩამორჩენილ სახელმწიფოთა კავშირი. ეს, თუ გნებავთ, ერთნაირათ ვანდეიაა და ჩვენ, ძალიანაც რომ გვსურდეს, არ შეგვიძლია ჩრდილოეთთან კავშირის დაჭერა.

ამიტომ ჩვენი ვალია აქ, კავკასიაში, მტკიცეთ დავიცვათ რევოლიუციის შენაძენი და ანარქიას, რომელმაც ჩვენშიაც იჩინა თავი განვითარების საშუალება მოვუსპოთ.

## მობილიზაცია და ზავი

კავკასიის ფრონტის გატიტვლებამ, ბრძოლის ასპარეზიდან ჯარების პირაღებით წამოსვლამ ამიერ კავკასიის მცხოვრებნი, განსაკუთრებით კი რევოლიუციონური დემოკრატია, მეტათ მძიმე პირობებში ჩააყენა. ისტორიამ არ იცის ასეთი უკულმართი მდგომარეობა. კაცობრიობას არ ახსოვს ისეთი საგარეო ომი, როცა მტრის წინაშე მდგომ ჯარს ასე ერთბაშათ ფრონტი მიეტოვებიოს და გარეშე მტრისთვის ხელფეხი გაეხსნა, რომ მას დაპყრობითი პოლიტიკა უტკივლოთ და უბრძოლველათ სისრულეში მოეყვანა.

უმაგალითოა კიდევ იმის მხრივ, რომ ფრონტს ატიტვლებს „რევოლიუციონური“ ჯარი, ის ჯარი, რომელმაც მედგრათ მხარი დაუჭირა რევოლიუციონური მოძრაობის მატარებელ კლასს—პროლეტარიატს და უკანასკნელთან ერთათ პირქვე დაამხო ნიკოლოზ მეორეს მთავრობა. სწორეთ ასეთმა ჯარმა, ვიმეორებთ, გაატიტვლა და ბრძოლის ველი მიატოვა, როგორც დასავლეთი ფრონტი, ისე კავკასიის.

დიახ, უმაგალითოა „რევოლიუციონური“ ჯარის მიერ ბრძოლის ველის მიტოვება და სახლში გაქცევა. საფრანგეთის 1871 წლის კომუნის რევოლიუციის დროს პარიზის მუშათა კლასმა თავისი უმწეო ჯამაგირებიდან თოფ-ზარბაზანი ჩამოასხა, იარაღი აისხა და საკუთარი ძალ-ღონით მედგრათ მოიგერია პარიზზე მომდგარი გერმანიის ჯარი. პარიზის იმ დროის პროლეტარიატი თავის უმთავრეს მოვალეობათ სამშობლოს დაცვას სთვლიდა და ეს მოვალეობა მან პირნათლათაც შეასრულა. იგი მედგრათ ეძრძოდა როგორც შინაურს, ისე გარეშე მტერს.

რუსეთში კი სულ წინააღმდეგ მოხდა: ჯარმა იარაღი დაჰყარა და ბალშევიკების უმგვანო, დეზორგანიზაციული აგიტაციის მეოხებით ფრონტი მიატოვა. ასეთი მოვლენა სავალალო და მეტისმეტად სამძიმოა როგორც დასავლეთ ფრონტზე, ისე კავკასიაზე. მაგრამ უფრო მძიმე პირობები იქმნება ამიერ-კავკასიაში, საცა ბალშევიკების მიერ გამოწვეულ ანარქიის მეოხებით სამხედრო მდგომარეობა აუტანელი ხდება. ამიერ კავკასია რუსეთის ცენტრს მოსწყდა, ჩვენ საშუალება აღარ გვაქვს ფული და საომარი მასალა რუსეთიდან მივიღოთ. ადგილობრივ არაფერი მოიპოება. აქ არ არის არც სამხედრო ქარხნები და არც ჯარისთვის გამოსაკვები სურსათი. ჯერ ისევ ძველი მთავრობის დროს კავკასიის ფრონტზე ომის წარმოება დიდ ხარჯებსა და უზომო სიძნელეს იწვევდა. შორეულ ცენტრიდან სამხედრო ამუნიციისა და ფურაჟის მოტანა წინეთ თუ სამძიმო ხდებოდა, მაშ რაღა უნდა ითქვას დღეს, როცა მთელი რუსეთი ბალშევიკების ავანტიურის მეოხებით მრავალი ეკონომიურ ერთეულებათ გადაიქცა და ამიერ-კავკასიასა და ცენტრალურ რუსეთს შორის მიმოსვლა შეუძლებელი გახდა.

ერთის მხრივ ფრონტის გატიტვლება და მეორეს მხრივ სამხედრო მასალების სრული უქონლობა შეუძლებელს ხდის კავკასიის ფრონტის დაცვას და მის გამაგრებას.

მართალია, ამიერ კავკასიის მთავრობა პრინციპიალურათ მართალია და სწორ გზაზე სდგას, როცა იგი ჯარების ახალ მობილიზაციას ემხრობა და ფრონტის დაცვას მოითხოვს. აქ მის პრინციპიალურ შეხედულების წინააღმდეგ არავის არაფერი აქვს და რევოლიუციონური დემოკრ. მობილიზ. პროექტს სავსებით იზიარებს, მაგრამ არსებობს შეურყეველი ობიექტიური პირობები, რომელსაც რევოლიუციონური დემოკრატია ანგარიშს უწევს და არ შეუძლიან იგი უყურადღებოთ დასტოვოს.

მეოთხე წელიწადია, რაც მსოფლიო ომი სწარმოებს და მის საშინელი ტვირთის ქვეშ მთელი ხალხი დრტვინავს. განადგურდა ნივთიერი კეთილდღეობა, სამრეწველო და სამეურნეო ცხოვრება წარმოუდგენელ კრიზისამდის მივიდა, მიმოსვლა მოიშალა, მშრომელი ხალხის საუკეთესო ძალა ბრძოლის ველზე დაიხოცა და მთელი ნივთიერი და ფიზიკური ძალა არარათ გადაიქცა. ხალხს ომი აღარ შეუძლია და აღარც რაიმე სურვილი აქვს იგი გააგრძელოს. ერთი სიტყვით, შეიქმნა ისეთი პირობები, როცა ომის გაგრძელება და ფრონტის დაცვა შეუძლებელი ხდება. ახლა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, არც ერთ რევოლიუციონურ ორგანიზაციას არ შეუძლიან ფართო მასას ამ ნიადაგზე მობილიზაცია უყოს და ჯარი ფრონტზე გაგზავნოს. ახლა ამას თუ ზედ დაუმატებთ ზევით დასახელებულ დაუძლეველ სიძნელეს, ე. ი. საომარ მასალებისა და სურსათის უქონლობას—ექვს გარეშეა—ჩვენთვის შეუძლებელი იქნება განზრახული მობილიზაცია სისრულეში მოვიყვანოთ და შესაძლებელი გავხადოთ დაცალიერებული ფრონტი გავამაგროთ.

ჩვენ მწარე სინამდვილეს წინაშე ვდგევართ და აუცილებელია, რომ კავკასიის რევოლიუციონურმა დემოკრატიამ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

თავისთავად საგულისხმოა ფიზიკური ძალაა საჭირო, რომ შინ და გარეთ თავი დავიცვათ და რევოლიუცია უზრუნველ ვყოთ. მაგრამ საყოველთაო მობილიზაციით კი არა, არამედ თავისუფალ მოხალისეთა არმიის შედგენით, თუნდაც ეს მოხალისეები ჯამაგირიანები იყვნენ.

ერთსა და იმავე დროს რევოლიუციონურმა დემოკრატიამ ასეთ ჯარების შედგენაზე უნდა იფიქროს და ზავის დაუყონებლივი ჩამოგდებაც მოახერხოს. უზავოთ ჩვენი ყველა პროექტები ისტორიის არქივს ჩაბარდება და რევოლიუციაც დიდ საფრთხეში ჩავარდება. ჯარის შედგენასთან ერთად ზავის ჩამოგდება აუცილებელი ხდება და ამის სისრულეში მოყვანა მორიგ საკითხათ უნდა იქნას დაყენებული. აი, ის ობიექტიური პირობები, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას და რომლის სწორ გადაჭრაზე დამოკიდებულია რევოლიუციის ბედ-იღბალი.

დ.

## პრესა

„საქართველოს“ ნაციონალისტებმა ნიღაბი საბოლოვოთ ჩამოიხადეს და თავისი შავრაზმული სახე სააშკარაოზე გამოიტანეს. მათ ძალიან ახარებს რუსეთის დაშლა. ტიტე ტაბიძე სწერს:

„ი. წერეთელი ხან ჩინიზელის ცირკში სტირის რუქაზე და ხან გასარეკად გამზადებულ დამფუძნებელ კრებაში მეორე მისი თანამებრძოლი იმერეთის სოფელში იკლავს ბრძოლის წყურვილს და მოელის ანტრაქტის გათავებას და ფარდის ახდას. ამ დროს რუსეთის ბალაგანში თანდათან კოშმარიანი სიზმრები იბადებიან და კოშმარი თანდათან გადადის განაპირა ქვეყნებში“.

ჩვენ არ გვიკვირს ის, რომ ტაბიძისთანა კაცუნები რუსეთის დემოკრატიის წმიდათა წმიდას ბალაგნათ თვლიან, ჩვენი „ეროვნული“ ბურჟუაზიისაგან ბევრს არას მოველით, მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ გაგვიგია: რათ ებლაუჭებიან ეს უჯარო სარდლები საქართველოს დამფუძნებელ კრებას, იქნებ ფიქრობენ, რომ ის ოცი ათასი ხმა, რომელიც მათ მიიღეს დამფუძნებელ კრების არჩევნებში, „ეროვნული“ დამფუძნებელი კრება თუ იქნა მოწვეული გაიზრდება?

ეს არა მკითხეები ჩვენს შინაურ საქმეებშიაც აფათურებენ ხელებს და ჩვენს მეთაურს, ნ. ჟორდანიას სახელს, წარამარა ატრიალებენ. იგივე ტაბიძე სწერს:

„მობილიზაცია ივვიანებს... ყველანი ელოდენ დეკრეტის გამოცხადებას, ეს ერთად-ერთი დეკრეტი იქნებოდა ამიერ კავკასიის მთავრობის, რომელიც მართლა მიმართული იქნებოდა რევოლიუციის გასამაგრებლად, დაინტერესებულნი დღეს კითხულობენ გაზეთში მ. და ჯ. ცენტრის ანგარიშებს, სადაც **ნოე ჟორდანია თავის ამხანაგებს უმტკიცებს—რატომ მაინცა და მაინც ქართველები უნდა დარჩნენ შეუიარაღებელნი**, როცა ყველა მეზობლები იარაღში არიან ჩამსხდარი. და მართლაც რატომ? **ჟორდანიასთან ერთად გაიმეორებს მთელი საქართველო**“.

ბ. ტაბიძის თავხედობა იქამდის მიდის, რომ ის ერთ მხარეზე აყენებს „ჟორდანიასთან ერთად მთელს საქართველოს“, ხოლო მეორე მხარეზე ჟორდანიას „ამხანაგებს“.

* * *

ეტყობა, ბ-ნი გ. ქ. კარგ გუნებაზე დაუყენებია დამფუძნებელ კრების გარეკას და რუსეთის ცხოვრების არევ-დარევას. ის პირში ნერწყვ-ნორიეული სწერს:

„გაბედულმა ბალშევიკებმა გადაარჩინეს დამფუძნებელი კრების ქართველი დეპუტატები უსიამოვნო ოდისეიადას პეტროგრადისაკენ, მაგრამ გვგონია, რომ ამ ადამიანებს კიდევ რამდენჯერმე მოუხდებათ კანოსაში გამგზავრებაო“.

დამახასიათებელია, რომ ისეთი „დინჯი“ ხალხი, როგორიც ჩვენი ეროვნული დემოკრატებია, ანარქიით გახარებული არიან, იმდენათ ძლიერია მათში **საკუთარ სახელმწიფოს** შექმნის სურვილი. დემოკრატია, ცხადია, ვერ აყვება ამათ ფეხის ხმას.

ამიტომ ამათ ცდილობს „საქართველოს“ გ. ქ. „გაბედულება“ გვიქადაგოს და „ორთავიანი იანუსობა“ გვისაყვედუროს. მისი ქადაგება დარჩება „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

* * *

„კავკაზსკი რაბოჩი“ ისევ შეუდგა ამიერ კავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ ბრძოლას. ის დიდი ასოებით აცხადებს:

„სადგურ ახტალის ახლოს ამიერ კავკასიის კომისარიატის ბრძანებით შეუდგენ ორი ეშელონისთვის იარაღის აყრას და სხვ. ამ ცნობას მოყოლებული აქვს ასეთი მიმართვა: „ამიერ კავკასიის კომისარიატი და ეროვნებათა შეერთებული საბჭო განაგრძობენ პროვოკაციულ კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებასო“.

„კავკაზსკი რაბოჩის“ კონტრ-რევოლიუციონერებს ყველგან კონტრ-რევოლიუცია ელანდებათ, თორემ აბა რა არის კონტრ-რევოლიუციონური ფრონტიდან შინ მიმავალ ჯარისთვის იარაღის აყრაში. განა თვით ბალშევიკმა კრილენკომ არ გამოაცხადა შინ მიმავალ ჯარისთვის იარაღის აყრის საჭიროება. და მართლაც, რა საჭიროა იარაღით დაბრუნდეს სახლში ის ჯარი, რომელმაც ლაჩრულათ მიატოვა ფრონტი და სახლში გარბის. ნუ თუ სასურველია, რომ ამ ჯარმა ჩალის ფასათ გაყიდოს მთელი ხალხის კუთვნი-

ლი იარაღი, რომ ეს იარაღი ნაძირალებს ჩაუვარდეს ხელში?

***

„ბრძოლის“ ახირებული მარქსისტები სიხარულით ფეხზე აღარ დგანან ვილსონის და ლოიდ-ჯორჯის სიტყვების გამო. როგორც ყველაფერში, აქ თავის გამარჯვებას ხედავენ ბალშევიკები. ისინი სწერენ:

„ეს გარემოება (ე. ი. დიპლომატების სიტყვების გამოქვეყნება) ცხადათ მოწმობს, რომ მოკავშირეებიც იძულებული გახდენ ანგარიში გაეწიათ სახალხო კომისრების მიერ დაწყებულ საზავო კამპანიისათვის. ისინი არ მოვიდენ დანიშნულ ადგილზე, მარა სამაგიეროთ დანიშნულ ვადაზე კი იძულებული გახდენ თავისი პროგრამა საქვეყნოთ გამოეცხადებიათ. ეს უეჭველი გამარჯვებაა რუსეთის რევოლიუციისა და ალბათ ამიტომ მალავდენ ამ ამბებს კავკასიის კონტრ-რევოლიუციონერები. როგორც მოკავშირე, აგრეთვე მოწინააღმდეგე ქვეყნის იმპერიალისტები იძულებული ხდებიან მიემხრონ იმ საზავო კამპანიას, რომელსაც მედგრათ აწარმოებს მუშების და გლეხების მთავრობა დღიდან კერენსკის კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობის დამხობისა“.

კითხულობ ამ სიტყვებს და არ იცი ვისთან გაქვს საქმე: უგუნურ ადამიანებთან თუ ხუმარებთან. ბალშევიკებმა წამოაყენეს ზავის პირობები და მოკავშირეებს წინადადება მისცეს დანიშნულ ადგილას მისულიყვენ. მოკავშირეებმა ამაზე უარი სთქვეს, აშკარა ანექსიონისტური მოთხოვნები წამოაყენეს. „ბრძოლა“-ს კი უხარია „დანიშნულ ვადაზე იძულებული გახდენ თავისი პროგრამა საქვეყნოთ გამოეცხადებიათ“-ო. ნეტა ვიცოდეთ, რა არის აქ გასახარელი. იქნებ ბალშევიკებს ის უხარიათ, რომ ამერიკის და ინგლისის ბურჟუაზიის აზრი გაიგეს.

ასეთი ხალხი კიდევ ჰფიქრობს მოძრაობას სათავეში უდგეს!

## თფ. მუშ. და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს აღმ. კომიტეტის ბრძანება

1) სასტიკათ აკრძალულია სასროლ იარაღის ტარება უკეთუ ამის სათანადო ნებართვა არა აქვთ.

2) სასტიკათ აკრძალულია სასროლ იარაღის უნებართვოთ ყიდვა-გაყიდვა.

3) სასტიკათ აკრძალულია ქალაქში სროლა.

4) სასტიკათ აკრძალულია სამსახურის შემდეგ სამხედრო პირები თოფებით გამოვიდენ ქუჩაში.

**შენიშვნა.** ჯარის ნაწილების უფროსებს ევალებათ ყოველივე ზომები მიიღონ, რომ სამსახურის შემდეგ ყველა თოფები ყაზარმებში დარჩეს და ჯარისკაცებმა არ გაიტანონ.

5) ყველა იმ პირებმა, რომლებიც სამხედრო სამსახურში არ არიან, დაუყოვნებლივ უნდა მოიხადონ „პაგონები და კაკარდები“, ხოლო სამხედრო პირებმა უსათუოთ თან იქონიონ მოწმობები თავიანთ ვინაობის აღნიშვნით, რომელიც პირველ მოთხოვნისთანავე უნდა წარუდგინონ.

6) სასტიკათ აკრძალულია ღვინის გაყიდვა უკეთუ ამის ნებართვა არა აქვთ ქალაქის გამგეობიდან. როცა საიდუმლოთ ღვინის გაყიდვას აღმოაჩენენ დამნაშავეს დაატუსაღებენ 6 თვით და დუქანს სამუდამოთ დაუკეტავენ. მოსამსახურეებს ჯამაგირი მიეცემათ დუქნის პატრონის ქონების გაყიდვიდან შემოსულ ფულებიდან, უკეთუ მას არ შეუძლია სხვაფრივ მათი დაკმაყოფილება.

7) სასტიკათ აკრძალულია სახაზინო ნივთების ყიდვა გაყიდვა.

**შენიშვნა:** დამნაშავეები დატუსაღებული იქნებიან, ნივთები ჩამოერთმევათ და საქმე სამხედრო-რევოლიუციონურ ტრიბუნალს გადაეცემა გასარჩევათ.

8) ქალაქ თფილისის ყველა ვაჭრებს სასტიკათ ევალებათ ივაჭრონ დეწესებულ ნიხრის კვალობაზე.

**შენიშვნა:** დამნაშავეებს დაატუსაღებენ და სამხედრო—რევოლიუციონურ სამართალში მისცემენ.

**ამ ზემორე აღნიშნულ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება თფილისის გარნიზონის შერეულ რაზმების აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო რაზმს, წითელ გვარდიელებს და მილიციას, მათ ხელმძღვანელობას უწევს „თფილისის დამცველი შტაბი“, რომლის ბრძანებას ყველა უსიტყვოთ უნდა დაემორჩილოს.**

ყველა იმ ბოროტ-მოქმედების გასარჩევათ, რომელსაც ანარქისტული ხასიათი აქვს არსდება სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალი, მას უფლება აქვს სასჯელი გადაუწყვიტოს ყველას დატუსაღებიდან კატორღაში გაგზავნამდე.

მილიციის უფროსს უფლება ეძლევა ადმინისტრატიული წესით დასაჯოს დამნაშავე სამი თვით დატუსაღებით. ამავე დროს მას უფლება აქვს იშუამდგომლოს აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე გააგრძელოს ეგ ვადა ექვს თვემდე.

**ქ. თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.**

## ჩრდილო კავკასიის ამბები

9 იანვარს ნაშუადღევის სამ საათზე პირდაპირი მავთულით ნოე ჟორდანია ელაპარაკა კავკავში ელერდოვს, რომელმაც შემდეგი აცნობა: გაცნობებ უკანასკნელი დღის ამბებს. დეპეშებიდან გავიგე, რომ თქვენგნით მოდის დელეგაცია. თერგის ოლქში საერთოდ და კერძოთ კავკავში არავითარი მთავრობა არ არის. თერგ-დაღესტნის მთავრობა გაქრა, ვინაიდან მას ფეხ-ქვეშ არავითარი ნიადაგი არ ჰქონდა. თქვენ იუწყებით, რომ თქვენი მხრით შეიარაღებული ჩარევა საქმეში არ შეიძლებაო. შეიძლებოდა მომხდარიყო კავკავის ევაკუაცია, მაგრამ ყველა გზები დანგრეულია. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმის შესახებ,—გავთ თუ არა თქვენ რაიმე რეალური ძალა. უკეთუ ასეთი ძალა თქვენ არ მოგეპოვება, ყოველივე ლაპარაკი ზედმეტია. ყველა სახელმ. დაწესებულებები, სასურ. საწყობები, საქონლის სადგური, საავათმყოფო, გადამწვარი და გაძარცვულია. ზარალი მილიონობითაა, შეტაკებებია ყაზახებსა და ინგუშებს შორის. თუ ისეთი ძალა მოგეპოვებათ, რომელიც ამ ბრძოლაში ჩაერევა, მოგვაშველეთ, სამშვიდობო დელეგაციის გამოგზავნას აზრი აღარ აქვს,—ახლა გვიანია. კავკავი ყველაფერს მოწყვეტილია. კავშირი გვაქვს მხოლოდ თქვენთან. ნ. ჟორდანიას შეკითხვაზე—თუ რომელი პარტია უდგას სათავეში ამ მოძრაობას, ან სად გაქრა ყაზახთა ჯარი, რომელიც ოლქში იყო, შეიძლება თუ არა წითელი გვარდიის შედგენა და სხ. ელერდოვი უპასუხებს: რევოლიუციონური პარტიები არსებობენ ფარულად. საბჭო აფიცრების ჯგუფმა გარეკა. საბჭოს გარეკის ნება თერგ-დაღესტნის მთავრობამ დართო. საბჭოს სადგომი მთიელებმა დაიკავეს, რომელთაც ანარქიასთან ბრძოლა არ შეუძლიათ და შეიძლება არც სურთ. ჩვენ ძალები გვყავს, მაგრამ უიარაღონი ვართ. რევოლიუციონურ ორგანიზაციებს საშუალება აქვთ ყაზახთა მთავრობას შეუკავშირდენ თერგის ოლქში წეს-რიგის დამყარების საქმეში, მაგრამ ყაზახების წინააღმდეგ შეუძლიათ ჩეჩნების და ინგუშების საგრძნობი ძალების გამოყვანა, ამიტომ საჭიროა ყაზახებს დამხმარე ვინმე ჰყავდეთ.

## დროებით ზავი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე

**ბრაილოვი.** ერთი მხრით გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის, ოსმალეთის და ბულგარიის წარმომადგენლებმა და მეორე მხრით გენერალ შჩერბაჩოვის, გენ. პრეზანის და რუმინიის ფრონტის რუსეთ-რუმინიის ჯარების უფროსებმა დაადგინეს შემდეგი დამატება შეიტანონ ფოქშანის ხელშეკრულობაში:

1) სანამ ფოქშანის ხელშეკრულობა ძალაშია ორივე მხარემ შესწყვიტოს შავ ზღვაზე და მის ნაპირებზე ყოველივე აპერაცია და მზადება.

2) დემარკაციული ხაზი იქნება „მაიაკი“ ოლინკა, რომელიც არის შავი ზღვის ნაპირს მცირე აზიაში, ტირიბოლის აღმოსავლეთით. ორივე მხარეს აკრძალული აქვს ამ ხაზის სამხრეთით გავლა და ჩრდილოეთით გადასვლა.

ამ შეთანხმების გამო ცენტრალურ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა შემდეგი განაცხადეს:

რადგან გენ. შჩერბაჩოვის და პრეზანის რწმუნებულება არ ვრცელდება შავ ზღვაზე თავისუფალ ნავოსნობაზე, კულტურულ და ეკონომიურ მიზნით ბრაილოვის მოლაპარაკება გათავებულია. ცენტრალურ სახელმწიფოების წარმომადგენელნი სურვილს აცხადებენ, რომ შავ ზღვაზე თავისუფალ ნაოსნობის შესახებ შეწყვეტილი მოლაპარაკება, განახლებულ იქნეს ახლო მომავალში.

## კავკასიის ფრონტი

საარმიო ცენტრმა შემდეგი დეპეშები მიიღო:

**ყარაკლისიდან:** გაძარცვეს და გაანადგურეს საწყობი. საწყობის დარაჯებიც მონაწილეობას იღებდენ გაძარცვაში.

**არზრუმიდან:** მდგომარეობა დღითიდღე რთულდება. როგორც ეტყობა, საპირო დარჩება ქალაქის სავსებით ევაკუაციის მოხდენა. გამოქცეულ ჯარისკაცთა რიცხვი ყოველ დღე მატულობს.

კავკასიის ჯარის სარდალმა შემდეგი ბრძანება გამოსცა, რომლითაც ეხლავე განთავისუფლებულ უნდა იქნან ჯარიდან ყველა მასწავლებლები როგორც დაბალი და საშუალო, ისე უმაღლეს სასწავლებელთა.

**სარაყამიში:** 2 იავარს მოეწყო სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი. მუშათა და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოსთან ორი დღე გაგრძელდა, რომ მას ეცნო სამხედრო კომიტეტის ძალაუფლება. მდგომარეობა სასაშიშრო იყო. 7 იანვარს მოლაპარაკება დამთავრდა. შეთანხმება არ მოხდა, ამიტომ სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტმა დაითხოვა აღმასრულებელი კომიტეტი და ყველა დაწესებულებებში თვისი კომისარები დანიშნა. აღ. კომ. ყველა სექციებმა გარდა მუშათა სექციისა მოქმედება შესწყვიტეს. ჯარებში ჯერ-ჯერობით სიწყნარეა. ოთხი დღის საკვები პური არის. ზომებია მიღებული სურსათის მოსაზიდათ.

## საზავო მოლაპარაკება

გერმანიის დელეგაციის წევრმა **გოფმანმა** ბრესტ-ლიტოვსკში საზავო მოლაპარაკების დროს სთქვა: მე პროტესტი უნდა განვაცხადო იმის გამო, რომ რუსეთის დელეგაციამ აქ ისე დაიწყო ლაპარაკი, თითქოს რუსეთი გამარჯვებულ მხარეს წარმოადგენს, თითქოს რუსის ჯარი ჩვენს ქვეყანაში იყოს შემოჭრილი. მე მსურს განვაცხადო, რომ ფაქტები ამის წინააღმდეგ ლაპარაკობენ: გამარჯვებული გერმანიის ჯარი რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფება, მსურს ამას გარდა კიდევ აღვნიშნო, რომ რუსეთის დელეგაცია მოითხოვს თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას, მოითხოვს ისეთი ფორმით და ისეთი საზომით, რასაც თვით რუსეთის მთავრობა არ სცნობს თვის საკუთარ მიწა-წყალზე, რუსეთის ახლანდელი მთავრობა ემყარება ძალადობაზე, რომლითაც ის ახრჩობს ყველას, ვინც კი მისებრ არ აზროვნობს. ყველა სხვა გვარათ მოაზროვნე გამოცხადებულია ბურჟუათ და კონტრ-რევოლიუციონერათ, რომელნიც კანონს გარეშეა დაყენებული. ჩემი ნათქვამი მსურს დავასურათო ორი მაგალითით: 31 დეკემბერს მინსკში შესდგა ბელორუსთა პირველი კონგრესი, რომელსაც სურვილი ჰქონდა მოეთხოვა ბელორუსთათვის თვით-გამორკვევის უფლების მინიჭება. ეს კონგრესი ბალშევიკებმა გარეკეს ხიშტებისა და ტყვიის მფრქვეველებით. როდესაც უკრაინელებმა მოითხოვეს თვითგამორკვევის უფლება, პეტროგრადის მთავრობამ მათ ულტიმატუმი წაუყენა და თავისი მოთხოვნა ამ მთავრობამ შეიარაღებული ძალით დაიცვა. დაბოლოს, ჩვენს წინ მდებარე რადიოტელეგრამიდან სჩანს, რომ ჯერ კიდევ არ დამთავრებულა სამოქალაქო ომი, აი როგორ ატარებს თვითგამორკვევის პრინციპს პრაქტიკაში ბალშევიკური მთავრობა. გერმანიის ჯარების მთავრობა ამიტომ საჭიროთ სცნობს უარყოფილ იქნას დაპყრობილი ადგილების საქმეებში ჩარევა. ჩვენთვის ცხადია, რომ დაპყრობილ ადგილებში მცხოვრებმა ერებმა აშკარათ და გადაჭრით აღიარეს რუსეთისგან გამოყოფის სურვილი. მაგალითად, 21 სექტემბერს 1917 წ. კურლიანდიის სახალხო კრებამ, რომელიც თავს კურლიანდიის ხალხის წარმომადგენლათ რაცხს, გერმანიას სთხოვა მფარველობა. ლიტველთა ლანდრატმა, რომელიც ხალხმა სცნო სრულ უფლებიან დაწესებულებათ, როგორც შიგნით ისე საზღვარ გარედ, 11 დეკ. აღიარა, რომ აუქმებს ყოველგვარ კავშირს, რომელიც კი ამ ხალხს ჰქონია რომელიმე სახელმწიფოსთან. 24 დეკემბერს ასეთივე სურვილი გამოსთქვა გერმანიისადმი რიგის ქალაქის საბჭომ. ამგვარ მათ სურვილს შეუერთდენ სხვადასხვა საზოგადოებანი და მცხოვრებთა სხვადასხვა წრეები, ეზელის, დაგოს და მოონის კუნძულთა მცხოვრებნიც უარყოფენ სახელმწიფოსთან ყოველგვარ კავშირს. ტეხნიკური მოსაზრებითაც გერმანიის ჯარების უფროსი უარყოფს კურლიანდიის, ლიტვის, რიგის და რიგის ყურის კუნძულების დაცლას. ამ ხალხთ არ აქვთ მართვა-გამგეობის ორგანოები, სასამართლოები, რკინის გზები, ფოსტა, ტელეგრაფი. ყველა ეს ეკუთვნის გერმანიას. ამ ადგილებს განაგებს გერმანია. ამ ხალხთ ახლო ხანში არ შეუძლიათ შექმნან ჯარი ან მილიცია, ვინაიდან მათ არ გააჩნია შესაფერი ორგანო, რომელიც ამ საქმეში ხალხს ხელმძღვანელობას გაუწევდა.

## ახალი ამბები

**რ. ს.-დ. მ. პ. საოლქო კომიტეტში** ზოგიერთმა სომეხმა ამხანაგებმა განაცხადეს: დაშნაკელები სოფელ-სოფელ დადიან და ძალით ახდენენ მობილიზაციასო. ამის გამო კომიტეტმა დაადგინა შეეკითხოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს სოციალ-დემოკრატ წევრებს—მართალია თუ არა ეს და ამის მიხედვით შესაფერი ზომები მიიღოს.

**გაზ. „ბორბა“.** გადასწყდა განახლდეს „ბორბა“. საოლქო კომიტეტი მუქთად დაუთმობს ქალაღდს მოთავე ჯგუფს, რომელიც გამომცემლის მოვალეობას კისრულობს. სარედაქციო კოლეგიას ადგენს საოლქო კომიტეტი.

**სახელმწიფო კონტროლის კომისარმა** მიმართა თფილისის, ბაქოს და ქუთაისის საკონტროლო პალატებს, ამიერ კავკასიის რკინის გზათა და კავკასიის ფრონტის მთავარ კონტროლიორებს წარმოადგინონ ანგარიში არა უგვიანეს 20 იანვრისა.

**დახმარების შეწყვეტა.** ამიერ კავკასიის კომისარიატმა აცნობა რკინის გზის უფროსს, რომ დღეიდან განჯის რაიონის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების ოჯახებს არ მიეცემათ დახმარება საევაკუაციო ხარჯების დასაფარავათ.

**დელეგაცია დარბეულ ადგილებში.** ამიერ კავკასიის კომისარიატმა მიმართა ქართველების, სომხების, რუსების და ოსების ეროვნულ საბჭოებს გამოგზავნონ თავის წარმომადგენლები მ. ჯაფაროვის დელეგაციაში, რომელიც მიემგზავრება დარბეულ ადგილებში.

**შრომის სამინისტროს კომისარის რწმუნებულები.** ამიერ კავკასიის კომისარიატი აცხადებს, რომ შრომის სამინისტროს კომისარის რწმუნებულები იმყოფებიან შემდეგ ადგილებში: თფილისში, ბაქოში, ერევანში, სოხუმში და ქუთაისში.

**ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა შორის.** დეკემბრის ბოლო რიცხვებში მოხდა კრება ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა მენშევიკების ფრაქციისა. კრებას სიტყვით მიმართა ამხ. როხლინმა, რომელმაც აღნიშნა ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურე-მენშევიკების შეკავშირებისა და ფრაქციის დაარსების საჭიროება, რომ მოსამსახურეების მოქმედებებს და გამოსვლებს საჭიროების დროს ჰქონდეს ორგანიზაციული ხასიათი და შეთანხმებული იყოს რევოლიუციონური საბჭოს მუშაობასთან. კრება ერთხმათ დაეთანხმა მას და დაადგინა დაარსოს ფრაქცია ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურე მენშევიკებისა. ამისთვის არჩეულ იქნა ბიურო ცხრა კაცისაგან. ბიუროს მიენდო წევრების რეგისტრაცია, კრებების მოწვევა და საერთო ხელმძღვანელობა ფრაქციისა. ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურე-მენშევიკების ფრაქციის ბიუროს სხდომა დანიშნულია 12 იანვარს, პარასკევს, საღამოს 7 საათზე ქალაქის თვითმართველობაში და სთხოვენ ბიუროს წევრებს დაესწრონ კრებას.

**ქუჩებში სროლისა, ნიხრის გარეშე ვაჭრობისა და სხვადასხვა წესრიგის დარღვევისათვის** ექვსი თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა თფ. მუშ. და ჯარისკაცთა დეპუტ. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა—ჯარისკაცებს: დენის სუროვცევს, ანდრია ცუკანოვს, პორფირე შუმლინს, სამი თვით: ჯარისკაცებს ვიქტორ მოდებაძეს, ვაჭ. გოგოლაძეს, ივანე ბარაბაშევს, სიმონ ბორისენკოს; მოქალაქეთ—ოჰანეს ხაჩატრიანცს და გერ. კორგანიანცს—6 თვით; ჯარისკაცს ოგანეს გრიგორიანცს 3 თვით და პოდპორუჩიკს კონსტანტინე გალაქტიონოვს—3 თვით. ჯარისკაცებს ისაკ ბაბაევს, გარეგინ აზიზოვს, ასლანოვს, დავით ლასურაშვილს, მიგრან ნალბანდიანს, ბახშო სარუხანოვს, ანტონ ნადირეიშვილს, არტ. მიდოვიანცს სამ-სამი თვით; ანტონ ტკაჩუკს, გიორგი მანუჩაროვს და მიკირტიჩ ტურაბოვს—6 თვით.

**კალოშები.** თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის სახელზე პეტროგრადიდან გამოუგზავნიათ 300 ფუთი (15 ათასი წყვილი) „ტრეუგოლნიკ“-ის ფირმის კალოშები. მიმოსვლის არევ-დარევის გამო ეს საქონელი თფილისის მაგივრათ სარატოვში მიუღიათ, სადაც იგი ბალშევიკურ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დაუკავებია. სასურსათო გამგეობა სთხოვს სარატოვის საბჭოს გამოგზავნოს კალოშები თფილისში.

**ელექტრონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა** სთხოვს წევრებს დააჩქარონ 1918 წლის 1 იან-

## თანამედროვე მსოფლიო კაპიტალიზმის იდეალები

(დასასრული)

III

ინგლისი უკანასკნელ დრომდის ბურჟუაზიულ თავისუფლების სამაგალითო ქვეყანა იყო, ბევრი მას დღესაც ასეთ ქვეყნათ სთვლის. ამიტომ არის ინგლისის დღევანდელი ვითარება განსაკუთრებით საყურადღებო. მან ყველაზე ცხადათ გამოაჩინა ის ძირითადი ცვლილებანი, რომლებიც შეიტანა ბურჟუაზიის პოლიტიკაში ფინანსიურმა კაპიტალმა და რომლებიც დღევანდელ მსოფლიო ომით ყოველგან მტკიცდება.

ავიღოთ მეორე დემოკრატიული ქვეყანა—საფრანგეთი. ამ ქვეყნის ბურჟუაზია ფინანსიურ კაპიტალის მოთხოვნილებებს თავიდანვე უფრო ადვილათ შეეგუა. პროტექციონიზმი აქ წინათაც იყო, როგორც ბურჟუაზიის „აღმზრდელი“ საშუალება. ამასთან მუდმივი ჯარი და ორი იმპერიის ტრადიციები ხელს უწყობდენ იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიამ ბევრათ უფრო მომზადებულათ შესდგა ფეხი ფინანსიურ კაპიტალის ხანაში, ვიდრე ინგლისისამ. პირველ შეხედვით თანამედროვე საფრანგეთში დემოკრატიული წყობილება უკიდურესათ განვითარებული ჩანდა. მაგრამ ფინანსიურმა პლუტოკრატიამ ნამდვილათ ისეთი მძიმე ბეჭედი დაასვა მესამე რესპუბლიკის მთელ შინაგან ცხოვრებას, რომ დემოკრატიული საფრანგეთი შრომის დაცვის საქმეში შორს ჩამორჩა როგორც ლიბერალურ ინგლისს, ისე მილიტარისტულ გერმანიას. კლერიკალიზმთან ბრძოლამ საფრანგეთის ბურჟუაზიის არისტოკრატიასთან დაახლოვებას ხელი ვერ შეუშალა. ამ ორი კლასის შეთანხმებულმა იერიშმა ფინანსიურ რეფორმის წინააღმდეგ მათი დაახლოვების საფუძველი ნათლათ გამოაჩინა. ეს შეთანხმებული კამპანია ფინანსიურ წრეების ხელმძღვანელობით სწარმოებდა და მის მსხვერპლათ გახდა სწორეთ ომის წინ კაიოს სამინისტრო, რომელმაც პლუტოკრატიის დაუკითხავათ შემოსავლის კვალობაზე პროგრესიულ გადასახადის დაწესება განიზრახა. საფინანსო კაპიტალის გავლენა კიდევ უფრო ცხადათ გამოიხატა მთავრობის საგარეო პოლიტიკაში, მაროკოს კონფლიქტის დროს, და საფრანგეთის ფინანსისტთა ოფიციალურ მოღვაწეობაში ოსმალეთის საზღვრებში. ყველა ამ საქმეებში მთავრობის ერთათ ერთი სახელმძღვანელო ძაფი საფინანსო კაპიტალის კოლონიალური მისწრაფებანი იყო.

განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ დღევანდელი ამბები ამავ პროცესის დასრულებას ამზადებს, რომ დღევანდელ მსვლელობის დროს დემოკრატიული სახელმწიფო საფინანსო კაპიტალის სახელმწიფოთ იცვლება?

დააკვირდით მებრძოლ საფრანგეთის სურათებს, და თქვენ თვალწინ გადაიშლება საფრანგეთი ჟოფრის და მეფე ალბერტის, გამოცოცხლებულ ბულანჟიზმის და კლერიკალიზმის, საფრანგეთი, რომელიც სულდგმულობს ერთი იდეით—ეროვნულ ცხოვრების ყველა მხარე სამხედრო მოთხოვნილებებს დაუმორჩილოს. განა ეს საფრანგეთი ჰგავს იმ ძველ საფრანგეთს, რომელსაც ფეოდალურ ევროპასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ახლათ აღორძინებულ ბურჟუაზიის სამოქალაქო მისწრაფებანი შეჰქონდა? დღეს საფრანგეთის სულიერ ცხოვრების გამოხატულებას წარმოადგენს პრესა, რომელიც ოცნებობს სადამოჟნო ომებზე, ახალ კოლონიებზე, „სფეროების“ განაწილებაზე და სხვა. „წმინდა ერთობამ“ გაბატონებულ კლასებს კარგი სამსახური გაუწია და მთელი ერი საფინანსო იმპერიალიზმის დროშის ქვეშ დააყენა, ხოლო დემოკრატიულ იდეალების მატარებელნი, რომლებიც წინათ საფინანსო კაპიტალთან ბრძოლით ქვეყანას თავისუფლების გზას უკვალავდენ, „ძველათ“ იქნან აყვანილი და იმპერიალისტურ მთავრობის პასუხისმგებლობას სრულიათ იზიარებდენ.

ასეთი ღრმა ცვალებადობა განაცდევია საფინანსო კაპიტალმა არა მარტო მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, არამედ აგრეთვე აღმოსავლეთის სახელმწიფოებსაც, სადაც კაპიტალისტური კულტურა შედარებით ისე განვითარებული არ არის. ცნობილია, როგორი ევოლიუცია განიცადეს გერმანიის აღმოსავლეთელმა მოკავშირეებმა გერმანელ ფინანსიურ კაპიტალის დახმარებით, რის შედეგიც დღევანდელი მათი იმპერიალისტური ერთსულოვნებაა გერმანიასთან. მაგრამ არა მარტო ამ ქვეყნებში, მთელ დანარჩენ აღმოსავლეთშიაც ბურჟუაზიის განვითარება ამავ ტენდენციებს იჩენს.

რუსეთის ბურჟუაზიის იმპერიალისტური ფერისცვალობა ხომ ჩვენ თვალწინ ხდებოდა უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში. სამოქმედო პროგრამიდან შინაურ პოლიტიკის მთავარ პუნქტების განდევნა და მათ ნაცვლათ საგარეო პოლიტიკის საბრძოლ პუნქტების შეტანა, ენერგიული პოლიტიკური კამპანია შორეულ აღმოსავლეთიდან მთავრობის ყურადღების მახლობელ აღმოსავლეთზე გადმოსატანათ, პარლამენტში და პრესაში ბალკანეთის საკითხის განუწყვეტელი წამოყენება,—ყველაფერი ეს ახალ ეტაპს მოასწავებდა რუსეთის ლიბერალიზმის განვითარებაში. რუსეთის ბურჟუაზიისთვის—საერთაშორისო მეტოქეობის უაღრესათ გამწვავების დროს—შინაურ ბაზრის განთავისუფლების მიზანი უკან დასწია სხვა გვარმა, უფრო „ადვილათ“ მისაღწევმა მიზანმა—გარეშე ბაზრების დაპყრობის ლტოლვილებამ. და აი, აქ მისმა მოთხოვნილებებმა ბევრათ უფრო რეალური ნაყოფი მოიტანა, ვიდრე შინაურ პოლიტიკაში. აქ მის მოკავშირეთ ევროპის ფინანსიური კაპიტალი გამოვიდა.

ცნობილია, რამდენათ შეაფერხა რუსეთის ბურჟუაზიის შინაური მოძრაობა ევროპის ფინანსიურმა კაპიტალმა 1905—1907 წლებში. მაგრამ საგარეო პოლიტიკაში ინგლის-საფრანგეთის და რუსეთის იმპერიალისტურ ბურჟუაზიის გზა ერთი გამოდგა—გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული. და აი, რუსეთის ბურჟუაზიასთან ერთათ მოკავშირეთა ფინანსიური წრეები აქეთ ხრიდენ რუსეთის საგარეო პოლიტიკას, ამ გზით უქადოდენ მას იმპერიალისტურ გაფართოვებას.

დღევანდელ ომის საერთოთ ცნობილ იდეოლოგს, რუსეთის ლიბერალურ ბურჟუაზიის ლიდერს, **პ. ნ. მილიუკოვს** ეს საკითხი სავსებით გამორკვეული აქვს „Ежегодникъ газ. Рѣчь за 1915 г.“-ში, საყურადღებო წერილში „Общественное мнѣніе, парламенты и правительства союзниковъ“.

„თქვენ გესაჭიროებათ ჩვენი ფული, ჩვენ გვესაჭიროება თქვენი სტრატეგიული გზები“—ასე გადმოგვცემს მილიუკოვი პარიზის ფინანსისტების პირობებს, რომლებიც მათ წამოუყენეს რუსეთს სწორეთ ომის წინ, 1913 წელში, 2 ნახ. მილიარდიან სესხის მიცემის დროს. (Ежегодникъ газ. Рѣчь за 1915 г. გვ. 237).

ამ სესხის შედეგებს მილიუკოვი ასე მოგვითხრობს: „თუ ვ. ნ. კოკოვცევი ამ სესხში რუსეთის ბანკების კრედიტის საშუალებას ხედავდა, შეიარაღების მომხრეებმა ამ სესხს თავის „დიდი პროგრამის“ განხორციელება შეუკავშირეს. ეს „დიდი პროგრამა“ მოკავშირეთა შტაბებისაგან ზედმიწევნით აწონილი იყო და იმავ მიზანს ისახავდა, რასაც გერმანიის და საფრანგეთის სამხედრო კანონები: ჯარის საიერიშო ძალის გაძლიერებას, მის მობილიზაციის დაჩქარებას და გაუმჯობესობას“ (Ежегодникъ газ. Рѣчь за 1915 г. გვ. 237).

ამ ზომების შედეგები იმავ პ. მილიუკოვმა მჭერმეტყველურათ დაახასიათა სახელმწიფო დუმის ტრიბუნიდან 10 მაისს 1914 წელს და ეს მისი სიტყვები თავმომწონეთ გადმობეჭდა იმავ „ეჟეგოდნიკის“ ფურცლებზე:

„თავ-შეუკავებლობის, ავანტიურის სულის თქმა მოგვიცავს ჩვენ. მე გამოვთქვამ შიშს, ვაი თუ უკანასკნელი უწყებაც, რომელიც ჯერ კიდევ ევროპიელი არის, ე. ი. საგარეო საქმეთა სამინისტრო, ისე დამარცხებული გამოვიდეს, როგორც სხვა უწყებები; ვაი თუ მანაც დაკარგოს შეძლება თავის დროზე შეაჩეროს ის დაოკებელი მოძრაობა კატასტროფისკენ, „რომლის ნიშნები მე თქვენ დაგიხატეთ“. (Ежегодникъ газ. Рѣчь за 1915 г. გვ. 241).

ასე ღაღადებდა ომის წინ პაციფიზმით გატაცებული მილიუკოვი. მაგრამ ომმა გამოაჩინა, რომ ის „თავშეუკავებლობის სულის თქმა“, რომელზედაც მილიუკოვი ლაპარაკობდა, სწორეთ „ევროპიულ“ საგარეო პოლიტიკის ნამდვილი გამოხატულება იყო. ომმა გამოარკვია აგრეთვე თვით მილიუკოვის პაციფისტურ დეკლარაციების ნამდვილი ფასი. ლიბერალურ ინტელიგენციის ლიდერი მთელ ბურჟუაზიასთან ერთათ უმტკიცესი მომხრე და სულის ჩამდგმელი გამოდგა იმ მოძრაობის, რომელსაც 10 მაისს მან „კატასტროფისკენ მოძრაობა“ უწოდა. „წმინდა სოფიას“, გალიციის და ბალკანეთის ლოზუნგები ბურჟუაზიამ ბევრათ უფრო დიდ გატაცებით წამოაყენა, ვიდრე რეაქციამ. შინაურ საქმეებში წინანდელათ უძლურმა ბურჟუაზიამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკას და საზოგადო აზრს თავის იმპერიალისტური კვალი დაასო. ამ მხრით რუსეთის განუვითარებელი ბურჟუაზია მოწინავე ქვეყნების ბურჟუაზიას მალე გაუსწორდა. საგარეო პოლიტიკის კითხვებში ფინანსიურმა კაპიტალმა ჩამორჩენილ აღმოსავლეთშიაც ისეთივე მკვიდრი პოზიციები დაიჭირა, როგორც დაწინაურებულ დასავლეთში. მაგრამ შინაურ საქმეებშიაც ის ამგვარათვე გამაგრებას ლამობს.

შინაურ განახლების საკითხი, რომელიც ომის დაწყებით დღიურ წეს-რიგიდან ჩამოიხსნა, ომის მსვლელობით გამოწვეულმა კრიზისმა ხელახლა წამოაყენა. მაგრამ რამდენათ განირჩევა ბურჟუაზიის დღევანდელი „განმათავისუფლებელი“ სულისკვეთება 1905 წლის მისწრაფებებისგან. სამხედრო მოთხოვნილებებით განსაზღვრული რეფორმები, სახელმწიფოს მილიტარისტულ ძლიერების შექმნა,—აი ერთად-ერთი ლოზუნგი, რომელიც წამოაყენა ძველ წყობილების წინააღმდეგ ამხედრებულმა ბურჟუაზიამ. ამ ნიადაგზე შეიკრა მისი კავშირი თავ.-აზნაურობის შედარებით მოწინავე ნაწილთან და ეს „პროგრესიული ბლოკი“ ემზადებოდა ომის ქარ-ცეცხლში რუსეთისთვის პრუსიის განვითარების გზა გაეჭედა. ხოლო მუშათა კლასი სხვა გზისკენ მიისწრაფებოდა, ომით წარმოშობილ გაჭირვებით და მძიმე საერთო პირობებით იგი ცდილობდა ესარგებლა ძველი რეჟიმის დასამხობათ.

IV

ასეთია—აღმოსავლეთით და დასავლეთით—მსოფლიო იმპერიალისტურ კონფლიქტის საერთო ტენდენციები. აქ არ არის შეტაკება ორი სხვა და სხვა პრინციპის, ორი სხვა და სხვა იმპერიალისტურ პოლიტიკის. თანამედროვე გერმანიის სოციალურ და პოლიტიკურ წყობილებაში კაპიტალის ახალმა ორგანიზაციამ და საფინანსო კაპიტალმა,—თავის სრული გამოხატულება ნახა და ეს ორგანიზაცია, მისი შინაური პოლიტიკა, მისი საგარეო მისწრაფებანი მთელ

ვრამდე ხვედრი საწევრო გადასახადის შემოტანა, რომ შესაძლებელი გახდეს წარსული წლის ანგარიშის შედგენა.

**ნიხრის დარღვევისათვის** საქონელი (ფეხსაცმელები) ჩამოართვეს შემდეგ სახელოსნოებს: ტერ-იონესიანის, ტერ-ზახარიანის, ჩოპინოვის, ხაჩატუროვის, გრიგორიანცის, მირზაბეკიანცის, ბაიაჯიანის, ამხანაგობა „ობუვ“-ის და სხ.

**სურსათი.** 10 იანვარს თფილისში შემოიტანეს 2 ვაგონი ფქვილი, 1 ვაგონი ხორბალი, 1 ვაგონი ქერი.

**კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ** აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიაც შედიან: პ. აზატიანი, ალ. ხელაძე, ს. ავატკოვი, ი. ბადრიძე, ნ. სლუცკი, კულაკოვი და ფროლოვი.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის თვითმართველობის შენობაში შესდგება შეერთებული კრება საოლქო კომიტეტის და საკანტროლო კომისიის და თფილისის კომიტეტის და რაიონულ კოლექტივების წევრებისა. გასარჩევია საკითხი: დამფუძნებელ კრების გარეკვა და ჩვენი დამოკიდებულება.

— ხვალ, საღამოს 7 საათზე სასახლეში შესდგება შეერთებული კრება საოლქო ყველა საბჭოთა ცენტრისა. გასარჩევია, სხვათა შორის, ჯარში გაწვევის საკითხი.

— დღეს საღამოს 7 საათ. დანიშნულია მეოთხე რაიონის წითელ გვარდიელთა კრება ბიუროში (მეექვსე ვაჟთა გიმნაზია) უდელის ქუჩა № 3.

— დღეს, საღამოს 5 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია კავკასიის გლეხთა ცენტრის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 5 საათზე ბიუროს ბინაზე დანიშნულია მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— 14 იანვარს დილის 10 ს., მესამე სავაჟო გიმნაზიის შენობაში (ველიამინოვის ქუჩა, № 11) დანიშნულია თფილისის დურგალთა პროფესიონალური კავშირის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1) სარევიზიო კომისიის მოხსენება, შემოსავალ-გასავალისა და კავშირის მდგომარეობის შესახებ; 2) გამგეობის წევრთა არჩევნები: 3) მუშათა დეპუტატების წევრთა არჩევა; 4) პურის ბარათების დარიგება.

— დღეს, საღამოს 6 ს., ბიუროს ბინაზე დანიშნულია მესამე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

— 12 იანვარს, დილის 11 საათზე, დანიშნულია ელექტრონზე მომუშავეთა დელეგატების კრება.

— 13 იანვარს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში დანიშნულია მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის წევრთა კრება.

**ყოველი პარტიის წევრი მოვალეა საკუთრათ გამოიწეროს პარტიის ცენტრალური ორგანო „ერთობა“.**

## პროვინციის ქრონიკა

**ს. დიდი ჯიხაიში.** 31 დეკ. მოხდა პარტიული კრება, საკითხი იყო კოლექტივის რეორგანიზაცია და წითელი რაზმის შედგენა. კოლექტივში არჩეულ იქნა ყველა ძველი და ახალი. მოხსენების გაკეთების შემდეგ კრება სიამოვნებით შეეგება შეიარაღებას: იქვე ჩაეწერა ორმოცამდი. მსურველიც ბევრია. 2 იანვარს მოხდა კოლექტივის ხელმძღვანელობით წით. რაზმელთა კრება, სადაც არჩეულ იქნა 5 კაცისგან შემდგარი კომისია (სამხედრო შტაბი) რომელსაც მიენდო რაზმის ხელმძღვანელობა და გადარჩევით შეიარაღება.

— აქაურ და იანეთელ მეეტლეების აღვირ-წახსნილ თარეშობამ საზღვარს გადააჭარბა. ვისაც ჩაიგდებენ ხელში, ტყავს აძრობენ. ამის გამო 3 იანვარს მოხდა კრება, სადაც გადაწყდა მიმოსვლის კოოპერატიულათ მოწყობა. კრებამ აირჩია 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც მიენდო საქმის მოწყობა დაჩქარებით. პაი ეღირება 15 მან. ერთ დროულათ გადასახადი 2 მან. ფიქრობენ ავტომობილების შეძენას.

**რამდენათ მეტი ვრცელდება გაზეთი, იმდენათ მას უადვილდება არსებობა. თვითეულმა საკუთრათ გამოიწერეთ გაზეთი „ერთობა“.**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზა

**სამტრედია.** სამტრედიის რაიონის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო აცხადებს, რომ უფასოთ მგზავრობის, უნებართვოთ ამა თუ იმ რაიონიდან რაიმე საგნის გატანის და ყოველგვარ უწესრიგობის აღმოსაფხვრელად მიღებულია ენერგიული ზომები. სთხოვს ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს და მოქალაქეთ დაეხმარონ მას ამ საქმეში.

**აქსტაფა.** სადგური საშიშარ მდგომარეობაშია. ამ ჟამად სადგურს გარს არტყია 300 შეიარაღებული თათარი. თათრებსა და ჯარისკაცებს შორის ხშირი სროლაა. ჯარისკაცების მხრით არიან დაჭრილ-დახოცილები. თათრების ძალა მატულობს. ზოგიერთი მოსამსახურენი უკვე გაძარცვეს. ღამით მოელიან მოსამსახურეთა საცხოვრებელ ბინებზე და სადგურზე თავდასხმას. უკეთუ დღეს არ იქნა გამოგზავნილი საჭირო სამხედრო ძალა, მოსამსახურენი სადგურს დასტოვებენ.

9 იანვარს დილის 9 საათიდან აქსტაფის სოფელში გაჩნდა 100 კაცისაგან შემდგარი მძარცველთა ბრბო. მათ განიზრახეს საინტენდანტოს მაღაზიის გაძარცვა. რკინის გზის დარაჯთა წყალობით (70 კაცი მუსულმანია დარაჯათ) განზრახვა თავდამსხმელებმა სისრულეში ვერ მოიყვანეს. მათ წინააღმდეგ წავიდა დელეგატთა მატარებლის რაზმი კაპიტან უსტიევის უფროსობით. გაჩაღდა სროლა, რომელიც გრძელდება. ამ სროლის დროს ძარცვა შესწყდა, მაგრამ წავა თუ არა დელეგატთა მატარებელი, ძარცვა კვლავ განახლდება.

9 იანვარს **განჯიდან** დეპეშით იტყობინებიან:

ამ წუთში დალიარიდან გენერალმა მდივანმა ცნობა მიიღო, რომ დალიარში გამვლელმა ჯარისკაცებმა თხრილები გააკეთეს და ჩასაფრდენ, მოსალოდნელია დიდი ბრძოლა თათრებთან, რომლებმაც გააჩერეს იარაღის ასაყრელათ. ეშელონი მოითხოვს გაუშვან ევლახამდე ჯავშნიან მატარებლის თანხლებით და იარაღს უკანასკნელ სადგურზე ჩააბარებენ. შეთანხმება ჯერ არ მოხდა. განჯაში გააჩერეს სამგზავრო მატარებელი № 3. მგზავრები ღელავენ და მოითხოვენ ან გაუშვან ან უკან დააბრუნონ ბაქოში, მაგრამ ჯავშნიან მატარებლის უფროსი ნებას არ აძლევს დაიძრან დალიარისკენ, რადგან გზაზე ნაღმებია ჩაწყობილი.

ამ დეპეშის მიხედვით, როგორც სჩანს, ჯარისკაცები იარაღს არ აძლევენ, გაჩერებულია 10 ეშელონი რიცხვით 20.000 კაცი.

**შამხორიდან** იტყობინებიან: სადგურ შამხორასა და დალიარს შუა ჯავშნიანი მატარებელი სდგას. ხიდს იქით გზა აყრილია, რის გამოც დალიარში ათი სამხედრო მატარებელი დგას. შამხორის მხრით სდგას ჯავშნიანი მატარებელი, თათრების პოლკების და პარტიზანულ რაზმების ორი მატარებელი, პოლკების და რაზმების უფროსს მაღალოვის ბაქოს შვიდი დელეგატების მონაწილეობით და ჯარისკაცების შორის მოლაპარაკებაა გამართული იარაღის აყრის შესახებ გარდა ყაზახთა ორი ეშელონისა, რომელთაგან იარაღს არ თხოულობენ. ხმები გავრცელდა, რომ ოთხმა ეშელონმა უკვე ჩააბარა იარაღი და საქმე მშვიდობიან სახეს ღებულობს. განჯიდან აქსტაფამდე ყოველივე მოძრაობა შეწყვეტილია.

ინჟენერი სუკიასოვი რკინის გზის სამმართველოს დეპეშით ატყობინებს: ბაქოდან წამოსულმა საგანგებო კომისიამ გახსნა სადგური ქელაი, ევლახი, კიუროქჩაი და დალმამედლი. ალაგ-ალაგ მუშაობა გაჩაღდა. ევლახში გაიხსნა ადგილობრივი დროებითი სასურსათო კომიტეტი, რომელიც მუსულმანებთან შეთანხმებით მოქმედებს.

**ალსტაფა.** ყველა მოსამსახურეები და დელეგაცია ეშელონთან ერთად განჯაში მიდის, რადგან კამანდამ თფილისში დაბრუნებაზე უარი სთქვა, ადგილობრივი მცხოვრებნი არსად სჩანან, მათი სახლ-კარი იწვის, მრავალი მოკლული და დაჭრილია. ვეცდებით ცნობები მოგაწოდოთ. სურსათისთვის გაგზავნილი დელეგაცია გზაშია. თათრები ეშელონს თავს ესხმიან. სადგურზე საწყობები და ბაზარი იწვის. განადგურებულია საინტენდანტო საწყობი და იწვის დუქნები. მუსულმანებთან მიმოსვლა შეწყვეტილია. მივდივართ განჯისკენ. მოსამსახურეთა მდგომარეობა საშინელია.

## ბ. ბ. სოხაძის და ფ. მახარაძის დასაშოშმინებლათ

(წერილი რედაქციის მიმართ!)

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ამ ჩემს საპასუხო წერილს.

„ბრძოლის“ მე-62 ნომერში მოთავსებულია ვიღაც სოხაძის წერილი. თუმცა ბ-ნი სოხაძე მეხუთე ქართულ პოლკის სახელით გამოდის, მაგრამ აშკარაა არავის მისთვის ამ წერილის დაწერა არ მიუნდვია, ე. ი. ეს წერილი არ გამოხატავს ჯარის სურვილს, არამედ ეს წერილი ბ-ნ სოხაძის გონების ნაყოფია. პირველ ყოვლისა „ბუმბერაზი“ მწერალი ქუჩურ გაზეთს უწოდებს გაზ. „ერთობას“, რომელიც თურმე ათავსებს ყოველივე ქუჩურ ლანძღვა-გინებას და სხვა. ამის შემდეგ რა უნდა მოსთხოვოს ადამიანმა ამ თავხედს, ამის შემდეგ ეს ვაჟბატონი მე მიწოდებს ახლად გამომცხვარ „მენშევიკს“ „ალიონისტს“. „კარგი რამა სთქვან გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“. აბა რა უნდა მოვსთხოვო ისეთ გაზეთის მწერალს, სადაც თვითოეული №-იც კი ლანძღვა-გინებით გაჟღენთილია, სადაც ისეთ „ქუჩის კორესპოდენტების“ აბდა-უბდას ბეჭდვენ, როგორიც ახლად დაბადებული ბალშევიკი ბატონი სოხაძე ბრძანდება. არც გასაკვირია სოხაძის გაბალშევიკება იმ დროს, როდესაც ყოველი ყოფილი ჟანდარმიც კი ბალშევიკია და სოხაძე ხომ სხვაზე ნაკლები არ არის. სოხაძე ბრძანებს: (რასაკვირველია ბალშევიკური კილოთი, ახლად გაბალშევიკებულს ახალი კილოც შეუთვისებია) ნურას უკაცრავათ, თუ ჩვენ ყარსის პოლკის რეზოლიუცია მივიღეთო. ფაქტების გადამახინჯება „ბრძოლა“-ს ყველა კორესპონდენტის თვისებაა და სოხაძეც სხვებს უკან არ ჩამორჩა. ბ. სოხაძე ეჭვი არაა წაიკითხავდა, „ერთობის“ იმ ნომერს, სადაც მოთავსებული იყო „მე-5-ე“ ქართულ პოლკის რეზოლიუცია, ის დარწმუნდებოდა, რომ ყარსის პოლკის რეზოლიუცია არავის მიუღია, გარდა ბ. სოხაძის და ფ. მახარაძისა, რომლებმაც მე-5 ქართულ პოლკის მიტინგზე მოიწვიეს 100 ჯარისკაცი ყარსის პოლკიდან და ყარსის პოლკის რეზოლიუცია მიაღებინეს. ე. ი. ყარსის პოლკის ასი ჯარისკაცი მთელ ქართულ პოლკათ მონათლეს. განა ეს რა გასაკვირია თუ ბალშევიკებმა შესძლეს ერთის დაკვრით რუსეთში სოციალიზმის დამყარება, ყარსის პოლკის ასი ჯარისკაცის გაქართველება და მთელ პოლკათ გადაკეთება განა ძნელი საქმე იყო?

შემდეგ ბ. სოხაძე ბრალს მდებს, თითქოს არსენალი გამეტეხოს. ამას კი ვერ ვაპატიებ ბ. სოხაძეს, ბალშევიკობა აქ მას ვერ იხსნის. მოვითხოვ დაუყოვნებლივ დამიმტკიცოთ ეს ბრალდება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი გასამართლება მოგელით. ჯერ-ჯერობით არ მინდა შევეხო შენს მოქმედებას, ბ. სოხაძევ. ამის მასალები მე ამ ცოტა ხანში მექნება მზათ და მოგართმევთ ნობათით, რომ დაინახონ თქვენი ბალშევიკური მოღვაწეობა. რაც შეეხება ფ. მახარაძეს ნუ ღელავს და თუ ღელავს, რათ აიტეხა ხათაბალა, რათ სთქვა ის, რაც არ უნდა ეთქვა? თუ ბალშევიკებს ყველაფრის თქმა და გაკეთება შეუძლიათ, მაშინ თავის ნათქვამს არ უნდა აეღელვებია ბ-ნი ფილიპე მახარაძე, არ უნდა შერცხვენოდა მას. თუ საზოგადოებას აბუჩათ იგდებენ ბალშევიკები, იმ შემთხვევაში არც ბ. ფილიპე მახარაძეს უნდა გაეწია ანგარიში საზოგადოებრივ აზრისთვის. მაგრამ რაკი პირი ასე ეწვის და უნდა როგორმე თავი გამოაძვრინოს ამ თვის სამარცხვინო საქციელიდან მე მზათ ვარ როდესაც უნდა და სადაც უნდა დავუმტკიცო მისი ნათქვამი.

ჯარისკაცი ნ. კვაჭანტირაძე.

**ამხანაგებო! დააჩქარეთ გაზეთზე ხელის მოწერა. გაავრცელეთ თქვენი ინტერესების დამცველი გაზეთი „ერთობა“.**

## კავკ. პროფ. კავშ. პირველი კონფერენცია

**მუშათა კანონმდებლობა დამფუძნებელ კრებაზე.**

ამ საკითხის შესახებ მოხსენება ამხ. აზატიანმა გააკეთა 30 დეკემბრის სხდომაზე. მცირე კამათის შემდეგ კონფერენციამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „მუშათა საკითხის დამაკმაყოფილებლათ გადაჭრა მჭიდროთ არის დაკავშირებული იმაზე, თუ როგორ და რა ფორმით იქნება გადაჭრილი რუსეთის დიდ რევოლიუციის მიერ წამოყენებული საერთო პოლიტიკური და ეკონომიური კითხვები. ამ საკითხების გადაჭრა კი შესაძლებელია დამფ. კრ. საშუალებით, რომლის ისტორიული მისსიაა—ჩამოაყალიბოს განსაზღვრულ ფორმაში და კანონმდებლობითი წესით დაუმკვიდროს დემოკრატიას მის მიერ დაპყრობილი პოზიციები. დამფუძნებელი კრება აუცილებელი ეტაპია რევოლიუციის განვითარებაში, იგი საუკეთესო ყვავილი და გვირგვინია ჩვენი მოძრაობის.

გარეშე საფრთხე და შინაური ანარქია ბრძანებლობით გვიკარნახებს დამფუძნებელ კრების მოწვევას, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია თავის გარშემო მთელი რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიის შემოკრება, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების ცენტრათ გახდომა და რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია, როგორც ერთად-ერთ სრულუფლებიან, ერთად-ერთ უფლებებით აღჭურვილ და ავტორიტეტულ ძალაუფლების სრულიათ რუსეთის ორგანოს, რომელსაც სცნობს მთელი ქვეყანა და რომელიც სავალდებულოა მცხოვრებთა ყველა კლასებისათვის, დაიცვას ქვეყანა გარეშე დამონავებისაგან, ჩამოაგდოს ზავი ჯერ კიდევ 14 მარტს რუსეთის დემოკრატიის მიერ წამოყენებულ საფუძველზე და განახორციელოს რევოლიუციონურ ხალხის ყველა მისწრაფებანი და იმედები, რითაც, ამნაირათ გამოიყვანს ქვეყანას შექმნილ საშიშ მდგომარეობიდან.

1) მუშათა კლასის პირველ ძირითად მოთხოვნილებას ამ ჟამად შეადგენს ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მას კლასიურ ბრძოლაში. ამიტომ მუშათა კლასი უპირველეს ყოვლისა უნდა ცდილობდეს რუსეთში დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებას, ე. ი. მმართველობის ისეთი ფორმის, როცა სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს საფუძვლათ უდევს თანდათანობით გატარებული მცხოვრებთა ყველა კლასების უფლებათა თანასწორობა. დემოკრატიული რესპუბლიკა პირის-პირ უყენებს მუშათა კლასს ბურჟუაზიას, ყოველგვარ საშუალო ძალთა გარეშე და წარმოადგენს საუკეთესო სარბიელს კლასთა ბრძოლისათვის. მაგრამ ამ წყობილების დროს პროლეტარიატი, თუ იგი მოკლებულ იქნა სოლიდარობას, მაღალ განვითარებას და ძლიერ კლასიურ ორგანიზაციებს—ადვილათ შეიძლება გახდეს ექსპლოატაციის მასალათ რომელიმე ოლიგარხიის მხრით, ვინაიდან რესპუბლიკა წარმოადგენს ორ პირიან იარაღს, ამიტომ პროლეტარიატი მზათ უნდა იყოს გამოიყენოს სახელმწიფოებრივ წყობილების ეს ფორმა, ე. ი. მას უნდა ჰქონდეს მაღალი შეგნება, უნდა შეეძლოს გარკვევა კაპიტალისტურ საზოგადოების რთულ ურთიერთობაში და ყოველთვის უნდა ჰქონდეს ძლიერი პროფესიონალური და პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა უფლება მოსილება და ავტორიტეტი აღიარებულია მუშათა კლასის უმრავლესობის მიერ.

2) მეორე ჩვენი მოთხოვნილება, რომლის განუხორციელებლათ რესპუბლიკანური ფორმა მმართველობისა დაჰკარგავს ჩვენთვის ყოველგვარ მნიშვნელობას და რომლის დაკმაყოფილება ყველაზე მეტ წინააღმდეგობას ხვდებოდა ყველგან ბურჟუაზიის მხრით—ეს კოალიციის თავისუფლება, ე. ი. თავისუფლება კრებ. გაფიც. კოლექტიურ ხელშეკრულებების ჩამოგდების, კავშირებისა და ყოველგვარ შეერთების მოწყობა. მუშათა კლასმა უნდა მიიღოს ყველა ზომები, რომ დამფუძნებელ კრებამ აღიაროს სრული, ყოველგვარ დაბრკოლებათაგან თავისუფალი ჩვენი უფლება კოალიციისა (შეერთებისა), ვინაიდან ჩვენ არამც თუ შემდეგში ვიქნებით მოკლებული ძირითად პირობას ორგანიზაციისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისა, მაგრამ მრავალ წლების განმავლობაში ამდენი მსხვერპლით აღსავსე ჩვენი ბრძოლაც სავსებით უშედეგოთ დასრულდება, ჩვენ მიერ დაპყრობილი პოზიციები დაიკარგება, ჩვენ დაუბრუნდებით პირველ ყოფილ მდგომარეობას და იძულებული ვიქნებით ერთხელ კიდევ დავიწყოთ ბრძოლა დაკარგულ პოზიციებისათვის, როგორც ეს არა ერთხელ დაემართა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს თითქმის ყველა რევოლიუციების შემდეგ.

3) მუშათა კლასის იმ მოთხოვნილებათა გვერდით, რომელთა განხორციელება წარმოადგენს წინასწარ პირობას ჩვენი ძალების შესაკავშირებლათ და მიზანშეწონილი ბრძოლის საწარმოებლათ ზევით ჩამოთვლილ მოთხოვნილე-

კაპიტალისტურ მსოფლიოს გზის მაჩვენებელ იდეალათ გახდა. „გერმანიის მილიტარიზმთან“ ბრძოლის დროს ამ მილიტარიზმის საფუძვლები საოცრათ მტკიცდება არა მარტო თვით გერმანიაში, არამედ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

**მოკავშირეთა ეკონომიურმა კონფერენციამ,** რომელიც ამ ორი წლის წინეთ ზაფხულში პარიზში მოხდა, აღნიშნულ საერთო ევოლიუციას შესანიშნავი გამოხატულება მისცა.

ამ კონფერენციის დადგენილებათა მთავარი ნაწილი წარმოადგენს მოკავშირეთა ეკონომიურ პოლიტიკის პლანის შემუშავებას ზავის შემდგომ დროისთვის.

ცნობილია გერმანიის იმპერიალისტთა იდეალი, რომელიც მათ ომის დასაწყისშივე წამოაყენეს: საშუალო ევროპის სადამოჟნო კავშირით გაერთიანება მსოფლიო ბაზარზე ეკონომიურ ჰეგემონიის მოსაპოვებლათ.

„საშუალო ევროპის სახელმწიფოები— ვკითხულობთ პარიზის კონფერენციის დადგენილებაში—თავის მოკავშირეებთან ერთად ამ ჟამათ ეკონომიურ ბრძოლას ამზადებენ, რომელიც არა თუ ზავს შემდეგაც გაგრძელდება, არამედ სწორეთ იმ დროს უკიდურესად გაფართოვდება და გამწვავდება“.

და აი ამ მომავალ ეკონომიურ ბლოკის წინააღმდეგ მოკავშირეთა კონფერენცია ამზადებს ამგვარივე მიზნით გაერთიანებულ სადამოჟნო კავშირს. ეკონომიურ ბრძოლის პირველი პრაქტიკული ნაბიჯი, პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილებით,—იმაში უნდა გამოიხატოს, რომ ზავს შემდეგ ყველა მოკავშირეებმა ავსტრო-გერმანიის და მათ მოკავშირეთა მიმართ ეკონომიურ „კეთილ მყოფელობის პრინციპზე“ უარი უნდა განაცხადონ.

„მოკავშირენი თანხმდებიან, ამბობს პარიზის კონფერენცია,—რომ ამ მდგომარეობით (ე. ი. კეთილმყოფელობის პრინციპით) სარგებლობა ვერ მიენიჭება მტრულ სახელმწიფოებს განსაზღვრულ წლების განმავლობაში. ამ ვადის განსაზღვრა მოკავშირეთა შეთანხმებით უნდა მოხდეს. მოკავშირენი კისრულობენ ამ ვადის განმავლობაში, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება, ერთმანეთს სამაგიერო ბაზრები გაუხსნან იმ ზარალის საზღვევათ, რომელიც წინა მუხლში დასახელებულ ვალდებულებისაგან შეიძლება წარმოსდგეს. მოკავშირენი თანხმდებიან მოკავშირე სახელმწიფოებს სხვებთან შედარებით უპირატესობა მიანიჭონ თავის ბუნებრივ სიმდიდრით სარგებლობაში მთელ იმ ხანის გასმავლობაში, სანამ მრეწველობა, მიწათმოქმედება და ზღვით მიმოსვლა ხელ ახლათ აღორძინდება. ამ მიზნით მოკავშირენი ვალათ იდებენ ერთმანეთთან ისეთი სპეციალური შეთანხმებანი შეკრან, რომლებიც ამ სიმდიდრეთა გაცვლა-გამოცვლის საქმეს გაადვილებენ“.

ამგვარად, კონფერენციის თვითეულმა მონაწილემ მშვიდობიანობის პირველ ხანაში გერმანიასთან და მის მოკავშირე ქვეყნებთან ეკონომიურ ხელშეკრულობით სარგებლობა უნდა დასთმოს, რომ ამ სახელმწიფოების „ეკონომიურ განცალკევებას“ ხელი შეუწყოს. საქონლის ჩვეულებრივი გაცვლა-გამოცვლა უნდა მოისპოს. „ეკონომიური ინტერესები,— როგორც პარიზის კონფერენციის მომხრე პრესამ გვაუწყა,—პოლიტიკურ ინტერესებს უნდა დაემორჩილონ“.

რას წარმოადგენს ეს „პოლიტიკური ინტერესები“? რა გზით აპირობენ კონფერენციის მონაწილენი იმ ზარალის ზღვევას, რომელიც, თვით კონფერენციის სიტყვით, განზრახულ ეკონომიურ პოლიტიკიდან „შეიძლება წარმოსდგეს“?

მომავალი საბაჟო კავშირი თავის საზღვრებში ყველა მონაწილეს თანასწორ სარგებლობას ვერ მიანიჭებს. აქ,—ეჭვს გარეშეა, — დაწინაურებულ კაპიტალისტურ ქვეყნებისთვის დიდი უპირატესობა შეიქნება, ამ „შინაურ ბაზრით“ განვითარებული კაპიტალი უკეთ ისარგებლებს, ვიდრე განუვითარებელი. ამიტომ იყო, რომ პარიზის კონფერენციის დადგენილებებს ყველაზე აღფრთოვანებულათ ინგლისის პრესა მიეგება და „Times“-მა ამ დადგენილებებს ხოტბა-გალობა შეასხა. საფრანგეთის ბურჟუაზიაც კონფერენციით კმაყოფილი დარჩა. მან უმთავრესათ ის მოიწონა, რომ აღმოსავლეთ მოკავშირეებისკენ საფრანგეთის კაპიტალს ფართო გზა გაეხსნება. მაგრამ სხვა მოკავშირე ქვეყნებში თანაგრძნობის ხმებს გაფრთხილების ხმებიც შეუერთდა, — ვაი თუ კონფერენციის დადგენილებებმა ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის ძალმომრეობას ნიადაგი შეუმზადოსო. ეს გაფრთხილების ხმა განსაკუთრებით მკაფიოთ რუსეთის მრეწველვაჭართა წრეებში გაისმა. და პარიზის კონფერენციის დადგენილებანი თავიდანვე ჰაერში გამოკიდებული დარჩებოდენ, თავიდანვე აღმოსავლეთის მოკავშირეთა წინააღმდეგობას ვერ სძლევდენ, რომ მომავალ ეკონომიურ კავშირს **მეორე მხარე** არ უჩნდეს, ისეთი მხარე, რომელიც ყველა მონაწილეს სარგებელს უქადის.

ეს მეორე მხარე არის—ბრძოლა მსოფლიო ბაზრების დასაპყრობათ, გერმანიის და მის მოკავშირეთა ამ ბაზრებიდან განსადევნათ. მხოლოდ იმდენათ, რამდენადაც ეს საერთო მიზანი განხორციელდება და დაპყრობილ ბაზრებს ყველა მოკავშირენი გაინაწილებენ — მხოლოდ იმდენათ მომავალ ბლოკის არსებობა მკვიდრ საფუძველზე დადგება. აგრესიული, მებრძოლი პროტექციონიზმი პარიზის კონფერენციის დადგენილებათა აუცილებელი დასკვნაა. სახელმწიფოთა კავშირს, რომელიც მსოფლიო გეგემონიის მოპოვებისთვის იღწვის, თავის შინაგანი ლოღიკა აქვს, და ეს ლოღიკა მჭერმეტყველურათ გამოარკვია ასეთ კავშირის პირველმა მქადაგებელმა, „საშუალო ევროპის“ ავტორმა:

„ვინც კავშირს გარეთ რჩება, ის განგანმარტოვებულია; ვინც განმარტოვებულია, ის საფრთხეშია“... „ომს შემდეგ სამხედრო თხრილებს გაიყვანენ ყოველგან, სადაც კი საფრთხე მოსალოდნელი იქნება. გააშენებენ რომის სიმაგრეებს და ჩინეთის კედლებს მიწისგან და ეკლიან მართულებისგან. ორი დიდი სამხედრო თხრილი გაწვება ევროპის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ერთი მათგანი ქვემო რეინიდან დაწყებული ალპებამდის მიაწევს, მეორე კი კურლანდიიდან სამხრეთისაკენ, რუმინიის მარჯვნივ ან მარცხნივ... სამხედრო სახელმწიფო ეროვნულ სახელმწიფოთა საზღვრებიდან უნდა გამოვიდეს და სამხედრო თხრილების კავშირათ უნდა გახდეს“.

ასეთ იდეალს ხატავს გერმანელი იმპერიალისტი ნაუმანი თავის „საშუალო ევროპაში.“ *)

ბევრათ უფრო ფრთხილათ შეეხო ამ საკითხს ინგლისის პრემიერი ასკვიტი, როდესაც მან პარიზის კონფერენციის დადგენილებანი ინგლისის პარლამენტს დასამტკიცებლათ წარუდგინა. მაგრამ მანაც საჭიროთ დაინახა ეთქვა:

„ომმა ყველა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური პირობები ძირიანათ გადაატრიალა, წინ დაგვისახა ახალი მიზნები და ძველ კითხვების დაყენებაში რადიკალური ცვლილება შეიტანა.“ *)

*) იხ. კაუცკის „Объединеніе Средней Европы“, რომელიც ენზასის რედაქციით რუსულათ გამოვიდა, გვ. 13 და 74.

როდესაც ასკვიტი ძველ პირობების „ძირითად გადატრიალებაზე“ ლაპარაკობდა, მას სახეში ჰქონდა, რასაკვირველია, თავისუფალი ვაჭრობა და მშვიდობიანი მეტოქეობა, რომლის მხურვალე მომხრეთ წინათ თვით ასკვიტი ითვლებოდა. მაგრამ „რადიკალური ცვლილებანი“ იმდენათ ღრმა გამოდგა, რომ ასკვიტი ამ ცვლილებების განმახორციელებლათ ვეღარ გამოდგა და ადგილი დაუთმო თავის ენერგიულ კოლეგას, ლოიდ-ჯორჯს, რომელიც კონსერვატორთა სამინისტროს სათავეში ჩაუდგა და მათთან ერთათ ინგლისს ახალ გზაზე მიაქანებს. მომავალი გვაჩვენებს, რამდენათ რეალური გამოდგება საშუალო ევროპის სახელმწიფოების ან მათი მოწინააღმდეგეების საბაჟო კავშირის პლანები. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ თვითეულ ამ პლანის განხორციელება აგრესიულ პროტექციონიზმის განმტკიცებას მოასწავებს და მსოფლიო მილიტარიზმს უკიდურესათ განავითარებს.

*) იხ. „Дѣло“ № 1—1916 წ. გვ. 91.

მსოფლიო საწარმოვო ძალები დღეს იმდენათ განვითარდენ, რომ ეროვნულსახელმწიფოებრივ საზღვრებში ვეღარ ეტევიან. აქედან წარმოსდგა დღევანდელი საერთაშორისო კრიზისი. ამ კრიზისიდან მსოფლიო ბურჟუაზიამ მხოლოდ ერთი გასავალი მონახა, რომელიც მის ინტერესებთან შეთანხმებულია: იმპერიალისტურ კოალიციების შექმნა მსოფლიო ბაზრის დასაპყრობათ, რჩეულ ერთა თავისებური „თვითგამორკვევა“ მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლათ.

და თუ მოპირდაპირე კოალიციათა შიგნით ამ ტენდენციების მოწინააღმდეგე მიმართულება არ გამაგრდა, ეს კრიზისი, რაგვარი ბოლოც უნდა მიეცეს მას კაცობრიობის ცხოვრებაში დიდი ხნით განამტკიცებს იმ ურთიერთობას, რომელიც ენატრებათ „საშუალო ევროპის“ მქადაგებლებს და მათ თანამოაზრეებსაც საშუალო ევროპის გარეთ.

მხოლოდ საერთო ცვლილება შინაურ განწყობილებაში, ე. ი. ანტი-იმპერიალისტურ კლასის გამოღვიძება და მისი გაერთიანება საკუთარ იდეალების გარშემო, წამოაყენებს სხვა პრინციპს საწარმოვო საზღვრების გაფართოვებისას გაზრდილ მოთხოვნილებების შესაფერათ: ეკონომიურ ძალთა მშვიდობიან მოწესრიგებას თავისუფალ საერთაშორისო შეთანხმებით.

შესაძლებელია აგრეთვე, რომ ამ ორ პრინციპის შეხლა არც ერთის სრულ გამარჯვებით არ გათავდეს და მესამე კომპრომისული ეტაპი წარმოიშვას: საერთაშორისო მეტოქეობის განსაზღვრულ კალაპოტში ჩაყენება პროტექციონიზმის შესუსტებით, სამედიატორო სამსჯავროს შექმნით და სხვ. მაგრამ ბურჟუაზიულ ვითარების ტენდენციების ამგვარი ალაგმვაც მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ მუშათა კლასმა თავის დამოუკიდებელი პოლიტიკა აწარმოვა და ბურჟუაზიას თავისი სურვილები აგრძნობინა.

ასეთი გამოღვიძების ნიშნებმა უკვე თავი იჩინა.

მოიპოვებს თუ არა ეს მიმართულება ფართო გავლენას იმპერიალიზმის მწარე გაკვეთილების შემდეგ, გამარჯვებას თუ დამარცხებას უმზადებენ მას დღევანდელი ამბები და თუ გამარჯვებას—სრულს თუ კომპრომისულს, აი, ამ კითხვებისაგან და არა ამა თუ იმ კოალიციის სამხედრო ბედ-იღბლისგან დამოკიდებულია ევროპის პროგრესის და ცივილიზაციის მომავალი.

უვიროლელი.

ზებთან ერთად უნდა იდგეს აგრეთვე სამუშაო დღის დღევანდელ ეკონომიურ პირობებში შესაძლებელი შემცირება. ამიტომ პროლეტარიატი უნდა ცდილობდეს, რომ ყველა დარგის დაქირავებულ შრომისათვის დამფუძნებელ კრებამ დააწესოს მაქსიმალური დრო—8 საათი დღეში, ამ დროის შესაფერ შემოკლებით: ა) მცირეწლოვანთათვის; ბ) ყველა ღამე მომუშავეთათვის და იმ წარმოებებში, რომლებშიაც მუშაობა ძალზე მომქანცველია ან ჯანმრთელობისათვის აშკარათ საზარალო.

8 საათისს სამუშაო დღე არის ძირითადი პირობა მუშათა კლასის ფიზიკურათ და მორალურათ აღორძინებისათვის, მხოლოდ მას შეუძლია ჩვენ მოგვცეს შეძლება აშკარათ წარმოვიდგინოთ ჩვენი მიზნები დ მისწრაფებანი, ჩვენი მდგომარეობა კაპიტალისტურ საზოგადოების ცხოვრების რთულ, წინააღმდეგობით სავსე პირობებში, მხოლოდ მას შეუძლია ჩაგვაყენოს ხელსაყრელ პირობებში, რომ ვისარგებლოთ რუსეთის რევოლიუციის დიდ პოლიტიკურ მონაპოვარით ჩვენი ორგანიზაციისა და კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ შემდეგი ბრძოლის საქმისათვის.

**შენიშვნა:** სამწუხარო მაგალითი დასავლეთ ევროპის კანონმდებლობისა გვიჩვენებს, რომ საჭიროა მუშათა კლასის გაუმჯობესების მიზნით მითითება ამ კანონების გავრცელების შესახებ: ა) სოფლის მეურნეობის მუშებზე; ბ) სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავეებზე; გ) სახლში მომუშავეებზე ან მოსამსახურეებზე; დ) განსაკუთრებით ბავშვებზე, რომლებსაც თვით მშობლები ყვლეფენ.

4) მუშათა საკითხის ნაწილს და მეტათ საყურადღებო ნაწილს შეადგენს აგრეთვე მოწყობა სახელმწიფოებრივ ბიუჯეტისა როგორც გასავალის, ისე შემოსავლის მხრით. პროლეტარიატის ეკონომიური მონაპოვარი შეიძლება ნულამდე დავიდეს, თუ ბურჟუაზიამ შესძლო არსებული ფინანსური სისტემის დაცვა, რომელიც გაყვლეფილ კლასებს მონაზე უარეს მდგომარეობაში აგდებს, მათ აწვება კისერზე მთელი სიმძიმე სახელმწიფოებრივ გადასახადისა, რომელიც იხარჯება უმთავრესად გაბატონებულ კლასთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ვინაიდან ეს საკითხი მეტათ დიდმნიშვნელოვანია, მუშათა კლასმა უნდა მოითხოვოს, რომ დამ. კრ. მოსპოს ყველა არსებული გადასახადები დ მათ მაგივრათ დააწესოს გადასახადი მხოლოდ შემოსავლისა და ქონების მიხედვით, მსხვილ ქონებაზე ეს გადასახადი პროგრესიულად უნდა იზრდებოდეს; და ამნაირათ შეკრებილი თანხა უნდა იხარჯებოდეს იმ კლასების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, რომლებიც არიან მთავარი შემქმნელნი ყოველგვარ სიკეთისა და ღირებულებისა კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

5) დგას რა ამ თვალსაზრისზე, მუშათა კლასი მოითხოვს, რომ დამფუძნებელ კრებამ აღიაროს, რომ მუშები სარგებლობენ არა ნაკლები უფლებებით, ვინემ ამას სცნობს ბურჟ. მთავრობები თავის პრივილეგიურ მოხელეთათვის და რომ მან შემოიღოს მუშების სახელმწიფოებრივი დაზღვევა უმუშევრობისაგან, ავათმყოფობისაგან და რამდენიმეთ ან სავსებით შრომის უნარის დაკარგვისგან მიუხედავათ იმისა, ხდება ეს შრომის უნარის დაკარგვა დასახიჩრების, პროფესიონალური ავათმყოფობის, თუ ბუნებრივათ მოხუცებულობის გამო.

6) ქვეყნის ძირითად კანონებმა უნდა აღიარონ აგრეთვე თვითეულ მუშის ელემენტარული უფლება მიიღოს შრომისათვის იმდენი ხელფასი, რამდენიც საჭიროა მის ფიზიკურ და სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ამიტომ დამფუძნებელ კრებამ უნდა გამოსცეს ყველასათვის სავალდებულო კანონი ხელფასის მინიმუმის შესახებ. ამ მიზნით რუსეთის ყველა ოლქებში და ადგილებში უნდა მოეწყოს საგანგებო ორგანოები, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ ადგილისა და დროისათვის ამ მინიმუმს, მიიღებენ რა მხედველობაში, როგორც მუშების მიმართ წამოყენებულ მოთხოვნილებებს, ისე მთავარ მოსახმარ საგნებზე ფასების ცვალებადობას.

7) როგორც დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მუშათა მოძრაობის პრაქტიკა გვიჩვენებს, თავის მიზნების მისაღწევათ პროლეტარიატს არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მხოლოდ კლასიური ორგანიზაციებით.

მუშათა კლასის მდგომარეობის კანონმდებლობითი წესით გაუმჯობესება საჭიროთ ხდის შრომის სამინისტროს მოწყობას. ამიტომ დამფუძნებელ კრებამ არ უნდა გააუქმოს შრომის სამინისტრო, რომლის მოწყობა ასე ძვირათ დაგვიჯდა, უნდა უზრუნველჰყოს იგი ნივთიერათ, გააფართოვოს მისი მოქმედების ჩარჩოები და ფართო ნიადაგზე დააყენოს სოციალური სტატისტიკა. სამინისტროსთან უნდა იყოს: ა) მუდმივი შრომის საბჭო; ბ) შრომის პარლამენტი, რომელიც უნდა მოიწვიონ ერთხელ მაინც წელიწადში.

ასეთია რუსეთის სინამდვილის მიერ წამოყენებული მუშათა კანონმდებლობის ძირითადი კითხვები, რომელიც უნდა გადასჭრას დამფუძნებელ კრებამ და რომელთა გადაუჭრელათ შემდეგი ეკონომიური და სულიერი განვითარება პროლეტარიატისა შეუძლებელია.

თუ ეს კითხვები დამაკმაყოფილებლათ გადაიჭრა, პროლეტარიატს ძლიერ კლასიურ ორგანიზაციების არსებობის დროს მიეცემა ისეთი ძალა, რომ რუსეთის ეკონომიური ცხოვრების ნორმალურათ განვითარების დროს ადვილი გახდება სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაც, რომლებსაც აყენებს მისი პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციები და რომელთა განხორციელება შესაძლებელია კაპიტალისტურ წყობილების ჩარჩოებში.

ამასთანავე მუშათა კლასმა უნდა იცოდეს, თუ ამ რევოლიუციის დროს მისი ძირითადი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლებელი გახდა მისი სისუსტის გამო, რევოლიუციის მეორე დღეს დაპყრობილ პოზიციებს უკან დაიბრუნებენ. ამ შემთხვევაში იმავე მოთხოვნილებათა განსახორციელებლათ ჩვენ იძულებული ვიქნებით მრავალ წლების განმავლობაში ვიბრძოლოთ, შეიძლება რამდენიმე ათეულ წლების განმავლობაში. სხვა რევოლიუციების ისტორია ასეთ შესაძლებლობას არ უარყოფს. ყველაფერი დამოკიდებულია კლასიურ ძალთა იმ განწყობილებაზე, რომელიც შეიქნება რუსეთში და დამფუძნებელ კრებაზე.

ერთი მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის აღდგენა და მთელი ქვეყნის მიერ დამფუძნებელ კრების აღიარება—აი ერთათ ერთი გზა რუსეთის განსათავისუფლებლათ კონტრ - რევოლიუციის, ანარქიის და სამოქალაქო ომისაგან.

ორგანიზაციული, თანდათანობითი და სოლიდარული ბრძოლა ცხოვრების მიერ წამოყენებულ და სწორათ გაგებულ კლასიურ იდეალებისათვის—აი რევოლიუციის გამარჯვების თავდები, თავდები მუშათა მოძრაობის გამარჯვებისა".

# მუშათა შორის

**ბათუმი.** სტამბებში მომუშავეთა ცხოვრებიდან. ყველას კარგათ გვახსოვს, თუ რა რიგ დამცირებას განვიცდიდით, თუ როგორ ჩამორჩენილი ვიყავით სხვა პროფესიის მუშებთან. შედარებით ჩვენთვის არ არსებობდა ზრდილობიანი მოპყრობა, განსაზღვრული სამუშაო დრო დ ხელფასი. ეს ასე იყო წინეთ. მაგრამ დღეს არც აქაური სტამბის მუშები ჩამორჩენ სხვებს. ამ რიგათ გაუმჯობესებული იქნა პირობები. მაგრამ სამწუხაროთ, ამ ბოლო ხანებში პროფესიონალური კავშირი ვერ იჩენს შესაფერ ფხას. ამხანაგებშიაც ძალიან გულ-გრილობას ვხედავთ, ამიტომაა, რომ ზოგიერთი ვაჟბატონები ფეხქვეშ თელავენ საერთო დადგენილებას. საჭიროა მეტი თანაგრძნობა გაუწიოთ უმუშევრებს, მეტადრე სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულთ. საჭიროა ასეთ არა სასურველ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ დაჩქარებით, თორემ მერე გვიანღა იქნება თითზე კბენანი. საჭიროა ეხლავე შევუდგეთ უმუშევართა საქმის მოწესრიგებას, გამოვუნახოთ მათ სამუშაო, ჯერ სანამ ეს სენი ფართეთ არ მოედება ჩვენ ქვეყანას, თორემ მერე ძნელი იქნება.

ი. შემოქმედელი.

# ჯარისკაცთა წერილები

მეხუთე ქართული პოლკის მეშვიდე როტაში ითვლება შვიდი აფიცერი, მაგრამ ამ როტაში რომ აფიცრები არიან, მე არა მგონია ამისთანა აფიცრები სხვა როტებშიაც იყოს. დადგენილება მეხუთე ქართული პოლკის კომიტეტისა, რომელიც იქმნა გამოტანილი მორიგ კრებაზე 7 დეკემბერს პოლკში წესრიგის აღდგენის შესახებ, ცოტა არ იყოს, აფიცრებსაც შეეხება, მაგრამ მეშვიდე როტის აფიცრები ამ დადგენილებას ყურადღებას არ აქცევენ. დღით, გარდა როტის კომანდირისა, აფიცერს ვერავის ვერ ნახავთ. მოდიან მხოლოდ პურის და შაქრის მისაღებათ, ზოგიერთიც ჯამაგირის მიღების დროს გამოცხადდება ხოლმე, სხვა დროს კი ვერავის ნახავთ. დროა ასეთმა აფიცრებმა წაბაძონ იმ თავის ამხანაგებს, რომლებიც ჯარისკაცებს მუდამ გვერდში უდგანან და მათთან ერთად სწევენ საერთო ჰაპანს. მარტო შაქარის, პურის და ჯამაგირების მიღება არ კმარა.

ი. ლანირელი.

# პროვინცია

**ბათუმი.** 28 დეკემბერს ბათუმში ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის რკინის გზ. ცენტრალური კომიტეტის საგანგებო კომისია. სასწრაფოდ მოწვეულ ბათუმის რაიონის რკინის გზ. მუშა-მოსამსახურეთა შეერთებულ კრებაზედ კომისიამ გააკეთა მოხსენება დღევანდელ მდგომარეობის შესახებ. რუსეთის რევოლიუცია, ამბობს მომხსენებელი, დღეს საშინელ კრიზის განიცდის. მარჯვნიდან და მარცხნიდან რევოლიუციას თავს ესხმიან. თავისუფლება განსაცდელშია, რუსეთში საშინელი ანარქია არის გამეფებული, სამწუხაროდ ანარქია კავკასიაშიაც იწყება. საჭიროა რევოლიუციონურ დემოკრატიის ძალთა მობილიზაცია, რევოლიუციონურ დემოკრატიის ფრონტის გაერთიანება რევოლიუციის და ქვეყნის დასაცველად. კავკასიის კომისარიატმა საყოველთაო დემოკრატიულ ზავის ჩამოსაგდებათ შესაფერი ნაბიჯი გადადგა. საყოველთაო ზავის პირობების გამომუშავებამდი ოსმალეთა ფრონტზე ომი შეჩერებულია. ფრონტზე გამართულ მოლაპარაკებისთანავე ჯარი დაიძრა პოზიციიდან. ფრონტი იცლება, დაბრუნებული ჯარი გზაში ანადგურებს ყველაფერს. რკინის გზის მოსამსახურეებს ჯარი ულტიმატუმს უყენებს: როგორც მოგვიყვანე პოზიციაზე, ისე გადაგვიყვანე აქედანო.

ჩვენი ვალია ხელი შეუწყოთ ჯარის გადაყვან - გადმოყვანის საქმეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას აოხრება და განადგურება მოელისო. ამიერ-კავკ. რკ. გზის მუშა-მოსამსახურეთა სიეზდზე არჩეულ იქნა საგანგებო კომისია განუსაზღვრელი უფლებებით. კომისია ენერგიულად მუშაობს ყველა რევ. ორგანიზაციებთან ერთათ რკინის გზაზედ ნორმალურ მსვლელობის აღსადგენათ. მიღებული იყო და არის ყოველგვარი ზომები ჯარის რუსეთში გადასაყვანათ კავკასიის გზით. დღეს ჯარის გადაყვანის საქმე შეჩერებულია. ამ ორი-სამი დღის წინად განჯაში საშინელი ამბავი დატრიალდა. პოზიციიდან დაბრუნებულ ჯარის მიერ განაწამები და შეურაცყოფილი ადგილობრივი თათრები თავს დაესხენ ჯარს. მოხდა შეტაკება, განჯაში ყველაფერი განადგურებულია. რკ. გზის სადგური და საქონლის საწყობები დანგრეულია. რკინის გზის მსვლელობა ბაქოს გზაზედ შეწყვეტილია, მოსამსახურეები შიშის გამო ყველა გაიქცა. განჯიდან-ევლახამდე არც ერთი რკ. გზის მოსამსახურე არ დარჩენილა. ამას ზედ დაერთო რკინის გზის ბათალიონის სამსახურზე უარის თქმა, რაც ჩვენთვის დიდი დანაკლისია.

ხშირად ორთქლ-მავალები არის, მარა მემანქანე არ არის. ვაგონები არის, მარა სხვა მოსამსახურეები არა გვყავს. თუ ბაქოს გზაზე მსვლელობა არ იქნა აღდგენილი, მაშინ ჯარი ბათუმისაკენ დაიძვრება და ბათუმს და იმ მხარეებს სადაც ჯარი გაივლის აოხრება და განადგურება მოელის. დაბოლოს კომისია ცენტრალური კომიტეტის და სხვა რევოლიუციონური ორგანიზაც. სახელით კრებას სთხოვს: 1) მიიღონ ზომები ყველა გამოქცეულ მოსამსახურეების უკან დასაბრუნებლათ და ბაქოს გზაზე მუშა მოსამსახურეების დასახმარებლათ. დაუყონებლივ უნდა გამოარკვიოთ რამდენი ორთქლ-მავლის, მემანქანის და თანაშემწის და მუშა-მოსამსახურეების გამოშვება შეგვძლებათ, რომ მზათ იყვეთ წამოსასვლელათ პირველ მოთხოვნილებისთანავეო. ასეთი მონდობილობით მივალთ ჩვენ ყველა რკ. გზ. მოსამსახურეებთანო—სთქვეს კომისიის წევრებმა.

ჩვენ დარწმუნებული ვიყავით კრებაზე კომისიის მოწოდება არავითარ კამათს არ გამოიწვევდა და მათ ერთ-ხმათ დახმარებას აღუთქვამდენ, მარა სამწუხაროდ აღმოჩნდენ ზოგიერთი ვითომდა მოწინავე ელემენტები „მარტის რევოლიუციონერები" ბესარიონ კოპალეიშვილის და ელიაშვილის მეთაურობით, რომლებმაც კომისიის და რევ. ორგანიზაციების მოწოდებას დაუკავშირეს ეკონომიური საკითხების გადაწყვეტა.

ისინი ამბობდენ: ჩვენ უკიდურეს ეკონომიურ პირობებში ვიმყოფებით, ცენტრალური კომიტეტი და არც ერთი რევ. ორგანიზაციები ჩვენ გაჭირვებას ყურადღებას არ აქცევენ, ასეთ პირობებში მუშაობა აღარ შეგვიძლია და მოუწოდებდენ ამხანაგებს არც ერთი ნაბიჯი არ გადაედგათ განჯაში ბაქოს გზაზე მყოფ მოსამსახურეების დასახმარებლათ, სანამ ჩვენი ეკონომიური მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებულიო. მოწინავე ელემენტებმა მათ რეაქციონურ გამოსვლებს შესაფერი პასუხი გასცეს. მართალია, რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები უკიდურეს ნივთიერ მდგომარეობას განიცდიან, ჩვენი ჯამაგირები მარტო პურის ფულადაც არ გვყოფნის, ასეთ პირობებში მუშაობის გაგრძელება შეუძლებელი ხდება, ყველა ამას ყურადღების მიქცევა უნდა, მუშა-მოსამსახურეების ნივთიერი მდგომარეობა აუცილებლათ გაუმჯობესებული უნდა იქნას, შეიძლება მართლაც ცენტრალური კომიტეტიც ნაკლებ ყურადღებას გვაქცევს, მარა დღეს, როდესაც რევოლიუცია განსაცდელშია, როდესაც პოზიციიდან დაბრუნებული ჯარი თავის დროზე თავის ალაგას თუ არ გადაიყვანე ყველაფერს ანადგურებს, რომელსაც მოჰყვება საშინელი ანარქია და ძმათა შორის სისხლის ღვრა, აი ასეთ სერიოზულ მომენტში ეკონომიური საკითხების წამოყენება და ასეთი ულტიმატური ხასიათის მიცემა, ნამდვილი რეაქციონური ზომა არისო, ვამბობდით ჩვენ. კრებამ არ გაიზიარა იმ ვაჟბატონების შეხედულება და ერთხმად დაადგინა: ჩვენ, ბათუმის რაიონის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები მზათ ვართ საჭიროების დროს ყოველგვარი დახმარება აღმოვუჩინოთ ბაქოს გზაზე მყოფ მუშა-მოსამსახურეებს. შეიძლება იქ წასვლით 8 საათის მაგიერ 16—20 საათის მუშაობა მოგვიწიოს, მარა რევოლიუციის ინტერესებისათვის ჩვენ მზათ ვართ დროებით ყველაფერი ავიტანოთო. გადაწყდა—ყველა დარგის მოსამსახურეებს ცალ-ცალკე მოეხდინა კრება, და გამოეყო გასაგზავნი პირები. დეპოს მუშა-მოსამსახურეებმა მეორე დღესვე გამოყვეს და დაასახელეს გასაგზავნათ 10 ბრიგადა მემანქანე-თანაშემწეთ და ორთქლმავლით. მესამე დღეს მოხდა კონდუქტორების, ვაგონების გამამზელების, მეისრეების, მატარებლების შემადგენლობით და მუშების შეერთებული კრება ყ. ნინიძის თავმჯდომარეობით. პირველათ სადგურის უფროსმა კორძაიამ გააცნო კრებას ცენტ. კომ. მიერ გამოგზავნილი დეპეშა და მოწოდება კითხვის გადაწყვეტის დროს იხელმძღვანელონ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესებით. წინდაწინ ემჩნეოდა, რომ ზოგიერთი პირები მომზადებული მოსულიყვენ კრებაზე. ჩვენ წინააღმდეგ აქაც ბესარიონ კოპალეიშვილი და ელიაშვილი გამოვიდენ იმ შეხედულებით, რომელსაც ისინი იცავდენ საზოგადო კრებაზე, და მოუწოდებდენ კრებას არ წასულიყვენ დასახმარებლათ. მე მათ საწინააღმდეგოთ სიტყვა ჯერ არ მქონდა დაწყებული, რომ უეცრად მოვარდენ ჩემთან დანებით შეიარაღებულნი გეორგი გორდელაძე, ერმილე თოდრია და იოსებ ურუშაძე, მათ მხარი დაუჭირეს კრების ზოგიერთმა წევრებმა და ასეთ შეერთებული ძალით მაიძულეს კრება დამეტოვებია, ასეთივე საშვალებით გაუმასპინძლდენ მეორე ჩემს ამხანაგსაც. თუ არა მოწინავე ელემენტები ეს ვაჟბატონები ჩვენზე თვითგასამართლებას მოახდენდენ. მერე ვინ? პარტიის წევრები! იმისთვის, რომ ჩვენ მათ მოვუწოდებდით რევოლიუციის სამსახურისთვის. მე დარწმუნებული ვარ ამ ვაჟბატონების რეაქციონურ გამოსვლებს შესაფერ პასუხს გასცემენ ადგილობრივი რევოლიუციონური და პარტიული ორგანიზაციები.

ვ. ბე—ლი.

**ლეხაინდრაო-ონოღიის საზოგადოება.** (სამეგრელო). ეს საზოგადოება შესდგება ოთხი სოფლისაგან: ლეხაინდრაო, ონოღია, ნაჯახოვო და ნაგიბეროვო, სადაც ათას ხუთასამდე კომლი მცხოვრებია. თითეულს სოფელს აქვს თავისთვის უფასო წიგნთ საცავ-სამკითხველო, მომხმარებელი საზოგადოება და შკოლა, ცენტრში კი წვრილი საკრედიტო ამხანაგობა და სოფლის სამმართველო. ერთად ერთს უკურნებელ სენს საზოგადოებისას შეადგენს ქურდბაცაცობა. რევოლიუციის პირველ დღეებში ხალხის შეკავშირებამ, ხშირმა მრავალ რიცხოვანმა კრებებმა, და თვით მასსის ამოქმედებამ ეს ვაჟბატონები ალაგმა და ამ მხრით მშვიდობიანი მცხოვრებნიც უზრუნველ ყოფილი შეიქმნა. გავიდა თუ არა დრო, მცირე რიცხოვანი ინტელიგენცია საზოგადოების სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხების გადაჭრამ მოინდომა, კრებები შეწყდა, ხალხიც დაიქსაქსა და წინანდებური სიცხოველეც როგორღაც მინელდა, ამით ჩვენი ნაძირალებიც წათამამდენ, ქურდ-ბაცაცებმა კვლავ თავი აიშვეს და განაგრძობენ თავიანთ სამარცხვინო საქმეს.

ერთის კვირის განმავლობაში რამოდენიმე შეიარაღებულ თავდასხმას ქონდა აქ ადგილი. რამოდენიმე შეიარაღებული უცნობი პირები თავს დაესხენ ადგილობრივ მკვიდრთ სევერიან კიკალიშვილს, გაბრიელ ბაბის, დუტუ სარჩიმელიას და მენიკი კოკაიას. ავაზაკებმა ამ ოჯახებიდან წაიღეს რამოდენიმე ასი მანეთი ფული და სხვა ოჯახის ხორაგები. საბრალო სახლის პატრონებს ხელიდან გამოაცალეს, რაც რამ ებადათ და წვრილი ცოლ-შვილით ხელ ცარიელი ღვთის ანაბარად დასტოვეს. ამ საქმის გამო ეჭვით შეიპყრეს კაპიტონ და კუკუ დანელიები, მაგრამ როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, პირველი თავმდებობით გაუნთავისუფლებიათ, ხოლო მეორე ციხიდან გაქცეულა. სასურველია ადგილობრივი მთავრობა და თვით საზოგადოება მიიღებდეს ამ თავხედ ვაჟბატონთა ასალაგმავად შესაფერს ზომებს. ახლო მომავალში აქ არსდება „წითელი გვარდია". როგორც გავიგეთ თოფებს სამაზრო მთავრობა ამ დღეებში აგზავნის, მაგრამ უნდა ეცადონ გვარდიაში საეჭვო ელემენტები არ შევიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება იარაღი უკუღმართად მოიხმარონ, რაც არა სასურველ შედეგს მოგვიტანს. დამფუძნებელი კრების არჩევნები როგორც მოსალოდნელი იყო აქ სასურველად ჩატარდა. საზოგადოება დაიყო სამ საარჩევნო უბნად. საერთოდ ამრჩეველთა რიცხვი უდრიდა 2752. აქედან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2605 ამომრჩეველმა. მენშევიკებმა მიიღეს 2594 ხმა, ბოლშევიკებმა—1, სოციალისტ-ფედერალისტებმა—7, ნაციონალ-დემოკრატებმა—3.

მოკეთე.

**ხოფ. გორა-ბერეჟოული** (გურია). 28 დეკემბერს გორას ეკლესიის გალავანში მიწას მიაბარეს დ. ხონში ყაჩაღების მიერ მოკლული მილიციონერი ბეჟან ვლადიმერისძე ბერიძე. ის მოკვდა თოფით ხელში, როგორც ნამდვილი რევოლიუციონერი და თავისუფლების დარაჯი. ადგილობრივმა და სხვა ამხანაგებმა გააცნეს დამსწრე საზოგადოებას ბეჟანის წარსული. და მოუწოდეს მისი ხსოვნის ალსანიშნავათ ქელეხის მაგიერ რაიმე კულტურულ დაწესებულებისთვის გაეღოთ თავიანთი წვლილი. მათმა წინადადებამ ნაყოფი გამოიღო. ბეჟანის ხსოვნის ალსანიშნავად მისმა დედამ გორა-ბერეჟოულის სკოლასს შემოსწირა 200 მანეთი, ადგილობრივ სამკითხველოს კი 50 მ., მირიან დავითის ძე ჭანიშვილმა—50 მ. სკოლას 50 მ. სამკითხველოს, სვიმონ ზურაბის ძე ბერიძემ სამკითხველოს 50 მ., ქუთაისის მაზრის მილიციონერებმა 130 მ. ორივე დაწესებულებას. პანტელიმონ ფილიპეს ძე ძნელაძემ სამკითხველოს 25 მ. და სოლომონ დიდიამ 30 მ. სულ 585 მ.

მ. დოლიძე.

# ანგარიში

დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ შეკრებილი ფულებისა პირველი რაიონის კასაში შემოვიდა და გადაეცა თფილისის კომიტეტს:

| | | | |
|---|---|---|---|
| დეპოს მუშა-მოსამსახურეთაგან | 3683 მ. | 20 | კ. |
| კონდუქტორების ბრიგადისაგან | 2383 „ | 50 | „ |
| საქონლის სადგურის მუშებისაგან | 746 „ | | „ |
| შეშის არტელის მუშებისაგან | 85 „ | | „ |
| ნაძალადევში გამართულ წარმოდგენისაგან | 1678 „ | 25 | „ |
| სახარატო ცეხისაგან | 564 „ | 10 | „ |
| „ სასტალიარო | 213 „ | 30 | „ |
| „ ჩამოსასხამი | 238 „ | 25 | „ |
| „ სამჭედლო | 444 „ | | „ |
| „ ვაგონების | 552 „ | 50 | „ |
| „ „სბორნი" | 289 „ | 95 | „ |
| „ ქვაბების | 287 „ | 67 | „ |
| საეროზო კავშირის მუშებისაგან | 100 „ | | „ |
| მთავარი საწყობის მუშებისაგან | 167 „ | | „ |
| მეთერთმეტე ნაწილის მილიციონერებისაგან | 190 „ | | „ |
| სადგურ თფილისის მოსამსახურეთაგან | 246 „ | 60 | „ |
| სამალიარო ცეხისაგან | 187 „ | 70 | „ |
| ხელის მოწერის ბიუროსაგან | 70 „ | 13 | „ |

სულ 12,127 მ. 15 კ.

ამ ფულებიდან პირველ რაიონში დაიხარჯა დამფუძნებელი კრების საარჩევნო საქმეზე საარჩევნო კომისიის მიერ 537 მ. 80 კაპ. გადაეცა თფილისის კომიტეტს 11,589 მ. 35 კ. სულ 12,127 მ. 15 კაპ.

თფ. კომიტ. მდივანი ხინაურიძე.
1 რაიონ. კოლ. მდივანი გ. ბახტაძე.

# წერ. რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს მცირე წერილს. სამ იანვარს სტუმრათ მეწვია ჩემი მეზობელი ანტონ სვიმონისძე კალანდარიშვილი. რითაც შემეძლო პატივი ვეცი, სამაგიეროთ წასვლის დროს მან მომპარა 300 მ. ღირებული საპაპიროსე და წავიდა. მეორე დღეს გამოტყდა ქურდობაში და აღმითქვა დავაბრუნებო, მაგრამ დღემდე არაფერი დაუბრუნებია. ეხლა გავიგე, რომ ის ქუთაისში გაქცეულა. დარწმუნებული ვარ მე ის აღარაფერს დამიბრუნებს, მხოლოდ მინდა მისმა ნაცნობ-მეგობრებმა გაიგონ რა შვილიც ბრძანდება ბ. ანტონ კალანდარიშვილი და ჩემსავით მისი მსხვერპლნი არ გახდენ.

ვიქტორ კვიციანძე.


სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
## კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეზხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

კბილის საექიმო
და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა, დაარსებული
## გ. ხაიკინა-შინკარევეს
მიერ, თფილისი, მიხეილის პრ., ს., № 76.
ავათმყოფები მიიღება განუწყვეტლივ დღით და ღამით,
ღამით მორიგეობა ექიმებისა.

ექიმი
## დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

## ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი კ. ი. ფვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

## ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წ. ყოველ დღიურ გაზეთ
## „სოციალ-დემოკრატ"-ზე
ხელის მოწერის პირობები:
ერთი წლით 50 მან., ექვსი თვით 27 მან., სამი თვით 13 მან. 50 კაპ., ორი თვით 9 მან., ერთი თვით 4 მან. 50 კაპ: ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.
განცხადების ფასი: პირველ და უკანასკნელ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება—2 საათამდის—10 მან.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება თვის პირველ და თხუთმეტ რიცხვებში შემდეგი მისამართით: Кутаисъ, почт. ящ. № 9 Тутку Гварамія.

## ქართული უნივერსიტეტი
### თფილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში
ამ თავითვე იქნება სიბრძნის მეტყველების ჰუმანიურ მეცნიერებათა განყოფილება. ლექციები იქნება საფილოსოფიო, საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო, საპედაგოგიო და სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან.
სტუდენტებათ მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში (ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი), რეალური, საკომერციო, საპარქიო და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლები, საოსტატო ინსტიტუტი და სემინარია, კადეტთა კორპუსი და სხვ.) კურს-დამთავრებულნი.
სტუდენტად ჩასარიცხავად საჭიროა: 1) თხოვნა ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის სახელზე (თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს მთხოვნელის მისამართი), 2) მოწმობა განათლების ცენზის შესახებ და 3) მეტრიკული მოწმობა (ვაჟთათვის). მსმენელთათვის საჭიროა მხოლოდ თხოვნა.
სწავლის ფასი სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლისა) სტუდენტებისა და მსმენელთათვის ათი თუმანი. იმ მსმენელთათვის კი, რომელთაც მხოლოდ ერთისა ან ორი საგნის მოსმენა სურთ,—ხუთი თუმანი. ფული ჩაწერისთანავე უნდა იყოს შემოტანილი.
ჩაწერა იოსებ ყიფშიძესთან, ქართული უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქართული გიმნაზიის შენობა) 12 ს.—2 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა.
ფოსტის ადრესი: въ канцелярію Грузинскаго Университета. Тифлисъ, зданіе Грузинской гимназіи.
ქართული უნივერსიტეტის დრ. გამგეობის წევრნი: პ. მელიქიშვილი. ივ. ჯავახიშვილი.
(15—9)


მეწ. რაულ-შველაძის სტამბა-რუჩხაძისა, გაბაშვილის შესახვევი, № 1.